

# საგარეო ურთიერთობები

საორთულები გაზეთი

სამუშაო 5 სექტემბერი 2000 №170 (1192)

ფასი 50 თეთრი

## ლინემა არჩილ არველაძე ბაპრიტიბა

ახალწვეულები უნდა  
აფეთქდნენ, ასე ფიქრობს  
„ფრაიბურგთან“  
სადღეისო მატჩამდე  
„კიოლნის“ თავკაცი

## უკანასკნელი ამბორი



ბლანმა ბარტენის თავი  
უკანასკნელად ჩაკოცნა  
და ნაკრები მიატოვა

## ჩოგბურთი უავდროდ როგორ იქნება...



საფინმა და ნორმანმა  
დიდი შიში ჭამეს


## ოლიმპიური სოფელი ოლიმპიურმა ბებიამ გახსნა



## მამა მია! ტრაპატონი ორი ქულა დუნაის ბაატანა

კვირას მსოფლიოს  
ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი  
სხვა ევროპელებთან ერთად  
საქართველოს ნაკრების  
მეტოქეებმაც დაიწყეს. ვიდრე  
ჩვენები ფრაიბურგში  
ვარჯიშობდნენ, იტალია  
ბუდაპეშტში უნგრეთს ეწვია და  
შინ ოდენ ქულით გაბრუნდა —  
იუველი ფილიპო ინძაგის დუბლს  
გერმანული „კოტბუსის“ ფერენც  
ჰორვატმა დუბლითვე უპასუხა  
და ჯოვანი ტრაპატონის  
სანაკრებო დებიუტი ჩაუმწარა.  
ტრაპატონისგან განსხვავებით  
მოგებით დაიწყო მისმა  
რუმინელმა კოლეგამ.  
ლადისლაუ ბოლონის მხსნელად  
მოველინა შეცვლაზე მოთამაშე  
„შტუტგარტის“ თავდამსხმელი  
ვიორელ იოან განია, რომელმაც  
ლიტვურ დაცვას გასაღები  
89-ე წუთზე მოარგო.

იხილეთ მესამე გვერდი



მანი, რა დამბარბა. ტრაპატონიმ პირველივე მატჩში ორი ქულა დაკარგა

## ურჯუკაშვილი ურტყამს ბურთს, მსაჯს და საკუთარ პარიერას



ბადრი კეთილაძის ფოტო

ასე — ყოჩები 24:17. მალხაზ ურჯუკაშვილის ეს აგბედითი ნახტომი  
მსაჯ გუგა ბაბუნაშვილზე მეტად თავად მისვე დააზარალებს

შაბათს ავლაბარში, ასე-ს  
სტადიონზე ჩვენი სარაგბო  
ჩემპიონატის სენსაცია მოხდა:  
არმიულმა კლუბმა ტიტულოვან  
„ყოჩებს“ 24:17 მოუგო. არმიულმა  
შეღავათი არც თავს მისცეს, არც  
მეტოქეს, ბრძოლის ჟინი მატჩის  
ბოლომდე არ ჩაიხრეს და  
გახარებულმა დატოვეს  
მოედანი, მაგრამ ერთ მათგანს ამ  
შეხვედრაში მონაწილეობა, დიდი  
შანსია, ძალიან ძვირად დაუჯდეს:  
ფეხჩუბინობით ცნობილმა  
საქართველოს ნაკრების  
დამრტყმელმა მალხაზ  
ურჯუკაშვილმა ერთ სადავო  
სიტუაციაში ფეხი ბურთის ნაცვლად  
მსაჯის თავს უსწორა და...  
სამწუხაროა, რომ ასაღვარდა,  
მართლაც ნიჭიერმა მორაგბემ  
თავის არცთუ ურიგოდ,  
საინტერესოდ დაწყებულ  
კარიერას თავადვე შეუქმნა  
ესოდენი საფრთხე.

იხილეთ მეცამეტე გვერდი


















# სხვადასხვა



მარატ საფინი



მაგნუს ნორმანი

REUTERS ნიუ იორკიდან

# უიუი და ნვიმა

## US OPEN

კვირას ჩატარებული მესამე წრის მატჩები კაცებს შორის გამარჯვების ორი პრეტენდენტისთვის ნამდვილ ფსიქოლოგიურ გამოცდად იქცა.

მარატ საფინმა (6) ასაკით მცირედით უფროს, მაგრამ სიმძლევში ბარე 20 სანტიმეტრით პატარა სებასტიან გროსიანს პირველ ორ სეტში ზედმეტი გაწამაწიის გარეშე აჯობა. 20 წლის ზორბა რუსმა ამით საქმე მოთავსებულად ჩათვალა და მწარედაც დისაკვა — ფრანგმა ზედზედ ცხრა გეიმი მოიგო, ანგარიში გაათანაბრა და თანაც ისე ათამაშა, მეტოქეს ტოლს აღარაფერში უდებდა.

მატჩი დაძაბული ფინალისკენ მიდიოდა, ანგარიში გადამწყვეტ ხელში 4:4 იყო, როდესაც „ფლაშინგ მელოუსის“ თავზე დაკიდებული შავი ღრუბლები მუქარიდან საქმეზე გადავიდნენ და შეხვედრა თითქმის ორი საათით შეწყდა. მატჩის განახლების შემდეგ ორივე ჩოგბურთელმა შეინარჩუნა საკუთარი მოწოდება და მერვედფინალის საგზურის მფლობელის გარკვევას ტაიბრეიკი დასჭირდა. რამდენიმე ლამაზი გათამაშებისა და მდგომარეობის უკიდურესობამდე გამძაფრების შემდეგ საფინი 5:4 დაწინაურდა, თუმცა ფინის ხანის გადაკვეთა მოთამაშებებს არც ამჯერად ეწვართ — ისევ წვიმა, ისევ პაუზა და ლოდინი.

„გასახდელში ყოფნისას ჭკუიდან კინალამ შევიშალე. საშინლად გაგებრვი ულდი, ადგილს ვერ ვპოულობდი და ვერც ვწყნარდებოდი. ამას კორტზე ყოფნა სჯობდა, იქ სულელური აზრებისთვის დრო მაინც არ გრძება“ — აღნიშნა მოგვიანებით საფინმა.

ჩოგბურთელები ამჯერადაც ორსაათიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდნენ კორტზე, დაბრუნდნენ, რათა სულ სამი ქულა გაეთამაშებინათ. გროსიანმა საკუთარ მოწოდებაზე ანგარიში კი გაათანაბრა, მაგრამ მერე ორი ბურთი ააცილა და მატჩის დასაწყისიდან 6 საათისა და 35 წუთის თავზე გამარჯვება საფინს ხვდა წილად 6:4, 7:6 (7:3), 6:4, 3:6, 7:6 (7:5).

„სიმართლე ვითხრათ, როცა კორტზე დაებრუნდი, საშინლად მეშინოდა, თვალები, ალბათ, სახეზე დიდი გამიხდა. ტაიბრეიკი ლატარასავითაა, შეიძლება გაგიმაროლოს, შეიძლება არა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მოვიგე, მაგრამ

ახლაც კი ვნერვიულობ. იმედია, მსგავს სიტუაციაში აღარასოდეს აღმოვჩნდები“ — განაცხადა რუსმა.

თუმცა საფინზე არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ცენტრალურ კორტზე რუსის შემდეგ გამოსული შვედელი მაგნუს ნორმანი. მსოფლიოს მესამე ჩოგანმა ბელარუს გიგანტ მაქს მირნიისთან პირიქით, პირველი ორი სეტი დათმო და უდიდესი ძალისხმევით დასჭირდა საკუთარი ხელით გათხრის საფლავიდან ამოსაძვრომად.

სკანდინავიელმა მეხუთე ხელში 5:6-ზე ერთი მატჩ-პოინტი მძლავრი მოწოდებით გადაარჩინა, მეორე — ბადესთან გამოვარდნილი ბელარუსისთვის ბურთის თავზე გადავდებით და ამ მატჩშიც ყველაფერი ტაიბრეიკმა გადაწყვიტა.

ნორმანი აქ ვერ 5:2 დაწინაურდა, მეორე უპირატესობა ქარს გაატანა და კიდევ ორი მატჩ-პოინტის ხსნა მოუხდა. თუმცა შვედს უმნიშვნელოვანეს მომენტში ხელი არ აუკაკალდა. მაშინ, როდესაც შეცდომის დაშვების უფლება აღარ ჰქონდა, მან ორმეტრის მინი ერთხელაც გააბრუნა უზუსტესი აბრავით, უკანასკნელ გათამაშებაში კი, მორიგი მძლავრი შემოვლებით დააარტყა ბელარუსს ბადესთან თავანწირულმა ნახტომამაც ვერ უშველა — 3:6, 4:6, 7:6 (7:5), 6:4, 7:6 (11:9) შვედის სასარგებლოდ.

„ასეთ სიტუაციაში ადრეც ვყოფილვარ და ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე. ვაგუძლო დაძაბულობას — აღნიშნა ნორმანმა — არ ვისურვებდი მირნის ადგილზე ყოფნას, ვიცი, ასეთი მატჩის წაგების შემდეგ როგორ გრძობ თავს. მას კიდევ ექნება შანსები. ბადესთან ხელის ჩამორთმევისას მინდოდა შემიქო, მაგრამ ითამაშე-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე, შეიძლება სახეში გაერთყა“.

„მან მითხრა, არ გაგიმართლა, ვწუხვარო. მაგნუსმა იცოდა, ერთი შესაძლებლობაც რომ გამოემყენებინა, ის აღმოჩნდებოდა ჩემს მდგომარეობაში. ის ნამდვილი ჯენტლმენია და პატივს ვცემ ამისთვის. ამ მატჩში მონაწილეობა კი ნამდვილად პატივი იყო“ — ეს უკვე მირნის სიტყვებია.

გამარჯვების შემდეგ ნორმანს ერთი პრობლემა მაინც აწუხებდა. მის შემდეგ ცენტრალურ კორტზე მისი გეგმონდობა ჩემს მდგომარეობაშია. ის ნამდვილი ჯენტლმენია და პატივს ვცემ ამისთვის. ამ მატჩში მონაწილეობა კი ნამდვილად პატივი იყო“ — ეს უკვე მირნის სიტყვებია.

დინე და ასე გვიან უნდა ითამაშოს. როცა შინ მივალ, ალბათ მომკლავს“.

**კაცები. მეორე წრე: ბლემს კორნა (8, ესპანელი) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:3, 7:6 (7:4), 6:3; სედრიკ პილიონი (10, საფრანგეთი) — ზარმ რუხინაძე (ინგლისი) 6:7 (4:7), 3:6, 6:4, 7:6 (8:6), 6:3; შან-შაიკლ გიგანტი (აშშ) — მარკ ფილიპუსისი (15, ავსტრალია) 6:4, 6:4, 6:4; ტომ მარტინი (აშშ) — მიკელ ჩანგი (აშშ) 6:4, 6:2, 6:4.**

**მესამე წრე: პიტ სანპრასი (4, აშშ) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 7:6 (7:5), 7:6 (7:3), 6:3; დონიკ პრეპარი (სლოვაკეთი) — ეგენი კაფელინი (5, რუსეთი) 6:4, 7:6 (7:5), 6:3; ტომას ნიკოლი (7, შვედეთი) — მარსელო როსი (ჩილე) 7:5, 7:5, 6:3; ლიტიონ პიუიტი (9, ავსტრალია) — ირე ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3, 6:3, 6:3; რინარდ პრინი (12, ესპანელი) — როუტო ფედერი (შვეიცარია) 7:5, 7:6 (8:6), 6:4, 7:6 (8:6); ნიკოლას პიუიტი (14, გერმანია) — სენგ შალკენი (მოლანდია) 7:5, 6:3, 6:4.**

პინგისი კი მართლაც განაწყენებული დარჩებოდა თავის ბოიფრენდზე: მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა სანდრან ტესტიუსს პირველი სეტი 6:2 მოუგო, მაგრამ განახლებული თავსხმის გამო მატჩის დასრულება ვეღარ მოახერხა.

სამაგიეროდ, მეოთხედფინალის საგზურის განადგობა მოასწრო მარტინას მთავარმა კონკურენტმა ვინუს უილიამსმა. ამერიკელმა მერვედფინალში სულ 52 წუთში დაჯანა ესპანელი მაუი სერნა 6:2, 6:2, ზედზედ 23 მოგებული მატჩი მიითვალა და, საუკეთესო ფორმაში ვერ არ ვარ, მაგრამ სულ უფრო უკეთ ვითამაშებ. გამარჯვებათა სერიის „ოუფენზე“ დასრულებას სულაც არ ვაპირებო, თქვა.

**ქალები. მესამე წრე: ლინდსი დევიდსონი (2, აშშ) — ტამარინე ტანასუგაორნი (ტილიანდი) 6:2, 6:3; მარკ პირსი (4, საფრანგეთი) — ლიზა რეიმონდი (აშშ) 6:4, 7:6 (8:6); სანდრა უილიამსი (აშშ) — ჯულია კაზინი (იტალია) 6:4, 6:2; უინა დევიდსონი (რუსეთი) — კონიტა მარტინესი (7, ესპანელი) 6:4, 6:3; შუსტინი დევიდსონი (ბელგია) — ანა კურნიკოვა (12, რუსეთი) 6:4, 7:6 (7:5).**

**მეოთხედფინალი: მონიკა სელეში (6, აშშ) — ენიფერ კაპრიატი (15, აშშ) 6:3, 6:4; ნატალი ტოზნი (8, საფრანგეთი) — არანა სანჩეს-ვიკარიო (9, ესპანელი) 6:3, 6:2.**

აშთადილ სვანიძე

აშშ-ის ღია პირველობის მესამე წრეში შესანიშნავად მოთამაშე სებასტიან გროსიანთან გამკლავების გარდა რუს მარატ საფინს სხვა პრობლემებიც თავსაყრულად ჰქონდა — მაგალითად, სამოსის გამოჩანვა. წვიმის გამო მატჩი ორჯერ შეწყდა ორ-ორი საათით, ასე რომ, 20 წლის რუსმა შხაპის მიღება გადაწყვიტა. „არა მგონია, ვინმეს მოსწონდეს, რომ კორტზე სუნი უდიდესი, ცუდი სუნი. ამიტომ ვიფიქრე, დავიბან და ტანზე გამოვიცვლი-მეთქი.“

მაგრამ საფინს დილით შინიდან გამოსვლისას მხოლოდ თითო წვეილი წინდა და შორტები წამოეღო, ამიტომ პირველად ეგვი ტარანგოს დაეცხსა ტანსაცმელს. მეორე შესვენების დროს კი თავისი დროებითი მწკრთელი ალექსანდრ ვოლოკოვი გაგზავნა ძველი მეგობრის, ნიკოლას კიფერის მოსაძებნად და წინდა-შორტების გამოსართმევად.

„ნიკოლასის ჩანთა იქვე, გასახდელში იდო, მაგრამ მისი უნებართვოდ გასხნა არ მინდოდა. გამიმართლა, რომ ბოლოს და ბოლოს ის თავად გამოჩნდა და დაძაბვარა. დღეს ყველამ ხელი გამიმართა, თუმცა ამერიკიდან ჭკუას ვისწავლი და ასეთი მწირი გარდერობით აღარ წამოვალ მატჩებზე.“

\*\*\*

**სიღნეის ოლიმპიური საჩოგბურთო ტურნირი** კინალამ რამდენიმე ვარსკვლავი კაცის გარეშე დარჩა, თუმცა ATP ტურსა და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ) შორის წამოჭრილი უთანხმოება ბოლო წუთს გადაიჭრა.

ყველაფრის თავიდათავი კი ახალგაზრდა, ნიჭიერი შვედი ჩოგბურთელი ანდრეას ვინსიგერა გახლდათ. ვერ გეტყვით, რა გაუჭირდათ ამ ფულიან სკანდინავიურ ქვეყანაში, მაგრამ აქაურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა რატომღაც იძუწა და ნებადართული ოთხის ნაცვლად ავსტრალიაში მხოლოდ სამი მოთამაშის წაყვანა გადაწყვიტა.

ასე რომ, გუნდში მოხვდნენ მაგნუს ნორმანი, ტომას ენკისტი და ტომას იოჰანსონი, ვინსიგერა კი, სურვილისა და კლასიფიკაციაში საკმარისად მაღალ ადგილზე ყოფნის მიუხედავად, ოლიმპიადის გარეშე რჩებოდა.

ასეთ ვითარებას ATP არ შეურიგდა. კაცთა საჩოგბურთო ასოციაცია წლებიდან ოლიმპიადის მონაწილეობის სარიტინგო ქულებს ურიგებს (80 გამარჯვებულს), ამიტომ რომელიმე მოთამაშისთვის თავის გამოჩენის შესაძლებლობის წართმევა არასამართლიანად მიიჩნია და ოლიმპიური ტურნირისთვის შემოსხენებული ქულების ჩამორთმევით დაიმუქრა.

ვინსიგერას მხარე დაიჭირა ATP-ს მოთამაშეთა საბჭოს პრეზიდენტმა იონანს ბიორკმანმა, ცალკე ვეგენი კაფელინიკოვმა დაიწუწუნა, რაღა აზრი ექნება ასე ავსტრალიაში წასვლასო და სოკ-ის მოხელეებიც შეფუცხუნდნენ. კომიტეტმა თავად იკისრა 19 წლის შვედის ოლიმპიადაზე წაყვანა.

„ასეთ სიტუაციაში, თამაშების დაწყებამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე არ გვსურს საჩოგბურთო ტურნირის საფრთხეში ჩაგდება და გადავწყვიტეთ, ანდრეას ვინსიგერას სპეციალური მოწვევა გაუგზავნეთ ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად.“ ასეთი შინაარსისა სოკ-ის განცხადება, რომელმაც ორ წაყენიკლავებულ ორგანიზაციას შორის ზავი ჩამოაგდო.

**სუთიწლიანი** შესვენების შემდეგ აშშ-ის ღია პირველობა მოუთმენლად ელოდა მარტინა ნავრატოლოვას დაბრუნებას „ფლაშინგ მელოუსზე“, იმედნად, რომ მეორე წრის შეხვედრა მისი მონაწილეობით არტურ ემის სახელობის ცენტრალურ კორტზე დაინიშნა.

43 წლის ლეგენდა „ოუფენზე“ მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან არანა სანჩეს-ვიკარიოსთან ერთად ასპარეზობს და საკმაოდ წარმატებულადაც ამჯერად მათ ანა კურნიკოვასა და ვენიფერ კაპრიატის მეთოთხმეტედ განთესილი დუეტი გაანადგურეს 7:5, 6:0.


„თავიდან მეტისმეტად ვნერვიულობდი, მაგრამ არანამ დამაწყნარა. ცუდად დავიწყე თამაში და მხოლოდ მეორე მიხვედრი, რაც მჭირდა — თურმე, სთვალის გაკეთება დამავიწყდა. მის გარეშეც ვხედავ, თუმცა სათვალის გაკეთებით უკეთ.“

ნავრატოლოვას წლებულს კიდევ ერთ ტურნირზე, იაპონიაში აქვს დაეგმილი თამაში, თუმცა საგაისო გეგმებზე არაფერს ამბობს: „თავდაც არ ვიცი, მომავალში რას ვიზამ. ახლა მთელ სხეულზე ყინულების ტომსიკების დადება მიხდება, პარდის საფარზე თამაში ძალიან მიჭირს.“

**შხაპის** ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზმა რჩეულთა რიგებში მოხვედრის მორიგ კანდიდატთა სია გამოაქვეყნა.

რვა დიდი სლემის ტიტულის მფლობელი ივან ლენდლი ნუსხაში პირველია და დიდების დარბაზში მოხვედრაც, ალბათ, გარანტირებული აქვს. ჩეხეთში დაბადებული, 1992 წელს აშშ-ის მოქალაქეობამიღებული ლენდლი 270 კვირის მანძილზე იყო მსოფლიოს პირველი ჩოგანი (აქედან 158 ზედზედ), რაც ისტორიაში მეორე შედეგია პიტ სანპრასის შემდეგ. ის ზედზედ რვაჯერ (1982-89 წლებში) გადიოდა აშშ-ის ღია პირველობის ფინალში და კარიერაში სანანებლად მხოლოდ ისა აქვს, რომ უიმბლდონზე ვერაფრით იმარჯვებოდა.

სხვა ნომინანტთა სახელებს კი ჩამოგთვლით, მაგრამ შეეკვება, რომ რაიმე ვითხრან: ოუენ დევიდსონი, მერვინ როუზი და ნენსი უინ ბოლტონი.



მარტინა ნავრატოლოვა





# სარბიელი

## სპორტული ლაბარია

### "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. მე-3 ტური  
5 სექტემბერი

001	ფრაიბურგი-კიოლნი	1,8	3,2	3,8
002	შალკე-კოტბუსი	1,35	4,0	7,5
003	შალკე-კოტბუსი 0:1	1,9	3,2	2,6
004	კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი	2,0	3,1	3,4
005	ლევერკუზენი-უნტერჰაინი	1,3	4,4	8,0
006	ლევერკუზენი-უნტერჰაინი 0:1	1,8	3,3	2,8
6 სექტემბერი				
007	ჰამბურგი-ვერდერი	1,9	3,1	4,0
008	აინტრახტი-ჰანზა	1,7	3,1	4,7
009	დორტმუნი-მიუნხენ 1860	1,7	3,1	4,7
010	ჰერტა-ბოხუმი	1,5	3,5	6,0
011	ბაიერნი-ვოლფსბურგი	1,25	5,0	9,0
012	ბაიერნი-ვოლფსბურგი 0:1	1,7	3,2	3,2

გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-3 ტური  
5 სექტემბერი

013	არმინია-ობერჰაუსენი	1,4	3,8	7,0
014	არმინია-ობერჰაუსენი 0:1	2,0	3,0	2,4
015	დინამო-დრეზდენი	1,65	3,3	4,7
016	როტ-ვაიხ-აშტატი	2,8	3,1	2,3
017	ქემნიცი-ზაარბრუკენი	2,3	2,9	3,0
018	ჰანოვერი-ალენი	1,35	4,0	7,5
019	ჰანოვერი-ალენი 0:1	1,9	3,2	2,6
6 სექტემბერი				
020	ფიურტი-ოსნაბრიუკი	1,55	3,4	5,6
021	კიკერსი-ალემანია	1,9	3,0	3,8
022	ვალდჰოფი-ნიურნბერგი	2,6	2,9	2,5

ინგლისი. პრემიერლიგა. მე-4 ტური  
5 სექტემბერი

023	ლიდსი-მანჩესტერ სიტი	1,4	3,8	7,0
024	ლიდსი-მანჩესტერ სიტი 0:1	2,0	3,0	2,4
025	სანდერლენდი-ვესტ ჰემი	1,9	2,9	4,0
026	ტოტენჰემი-ვეერტონი	1,75	3,0	4,4
027	მანჩესტერი-ბრედფორდი	1,2	5,6	10,0
028	მანჩესტერი-ბრედფორდი 0:1	1,5	3,5	3,5
6 სექტემბერი				
029	ქოვენტრი-ნიუკასლი	2,4	3,0	2,7
030	დერბი-მიდლსბრო	2,4	3,0	2,7
031	ლესტერი-იფსვიჩი	1,7	3,1	4,7
032	ჩარლტონი-საუთჰემპტონი	2,0	3,0	3,5
033	ჩელსი-არსენალი	2,3	2,9	3,0
034	ლივერპული-ასტონ ვილა	1,6	3,2	5,6

საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-6 ტური  
5 სექტემბერი

035	მონაკო-მარსელი	1,7	3,1	4,7
6 სექტემბერი				
036	სელან-რენი	1,9	2,9	4,0
037	ბასტია-ლილი	1,8	2,9	4,4
038	გენგამი-ტულუზი	2,0	2,9	3,6
039	ლანსი-ოსერი	1,65	3,0	5,6
040	მეცი-სტრასბური	1,7	3,1	4,7
041	ნანტი-ბორდო	1,9	3,0	3,8
042	სენტ ეტიენი-ლიონი	2,2	2,9	3,2
043	ტრუა-პსჟ	3,6	2,9	2,0

საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-8 ტური  
5 სექტემბერი

044	ნანსი-ნიორი	1,5	3,5	6,0
6 სექტემბერი				
045	კრეტი-ბოუეა	1,6	3,0	6,5
046	გენიონი-ლე მანი	2,0	2,7	4,0
047	ლაგალი-ნიმი	1,6	3,0	6,5
048	ლე აური-შატორუ	1,5	3,4	6,5
049	ლორიანი-მარტივი	1,65	2,9	6,0
050	მონპელიე-ანჟე	1,25	4,7	10,0
051	მონპელიე-ანჟე 0:1	1,7	3,2	3,2
052	ნიცა-აიაჩო	1,7	2,8	5,6
053	სოშო-კანი	1,55	3,2	6,5
054	ვასკალი-კაენი	2,0	2,8	3,8

პოლანდია. I დივიზიონი. მე-3 ტური  
5 სექტემბერი

055	ჰსე-ტილბურგი	1,4	3,8	7,0
056	ჰსე-ტილბურგი 0:1	1,9	3,4	2,4
6 სექტემბერი				
057	ვროსლავი-ვარშავა	2,0	3,1	3,4
058	ვიტეპი-სპარტა	1,5	3,5	6,0
059	ტვენტე-ჰერენვენი	2,2	3,1	3,0
060	ვალეჟა-კიალცკარი	2,4	3,1	2,6
061	ბრედა-როდა	2,5	3,0	2,5
062	აიაქსი-ნაიმეგენი	1,35	4,2	7,0
063	აიაქსი-ნაიმეგენი 0:1	1,9	3,2	2,6

ბელგია. I დივიზიონი. მე-4 ტური  
5 სექტემბერი

064	ანდერლექტი-შარლერუა	1,4	4,0	6,5
065	ანდერლექტი-შარლერუა 0:1	1,9	3,4	2,4
6 სექტემბერი				
066	სტანდარდი-ბრიუჯე	2,5	3,0	2,5

067	ლუვე-ბეერსზოტი	2,5	3,0	2,5
068	ანტვერპენი-პარულბეკე	2,0	3,1	3,4
069	ლიერსი-ბევერენი	1,35	4,0	7,5
070	ლიერსი-ბევერენი 0:1	1,9	3,3	2,5
071	გენკი-ვესტერლო	1,75	3,0	4,4
072	გენტი-სენტ ტრუიდენი	1,35	4,0	7,5
073	გენტი-სენტ ტრუიდენი 0:1	1,9	3,3	2,5
074	მუსკრონი-აალსტი	1,35	4,0	7,5
075	მუსკრონი-აალსტი 0:1	1,9	3,3	2,5
076	ლოკერენი-მეხელენი	1,7	3,3	4,2

თურქეთი. გადაღებული მატჩი  
6 სექტემბერი

077	ბურსა-გალათასარაი	7,0	3,8	1,4
-----	-------------------	-----	-----	-----

ავსტრია. მე-10 ტური  
5 სექტემბერი

078	შტურმი-ზალცბურგი	1,65	3,2	5,0
6 სექტემბერი				
079	ადმირა-გრაჯერი	2,9	3,0	2,3
080	აუსტრია-ბრეგენცი	1,2	5,6	10,0
081	აუსტრია-ბრეგენცი 0:1	1,5	3,5	3,5
082	რიდი-ლინცერი	1,55	3,4	5,6

შვეიცარია. „ა“ ჯგუფი. მე-9 ტური  
5 სექტემბერი

083	არაუ-ბაზელი	2,4	3,0	2,7
084	ლოზანა-სიონი	1,5	3,5	6,0
085	ლუგანო-ივერდონი	1,3	4,4	8,0
086	ლუგანო-ივერდონი 0:1	1,8	3,3	2,8
087	სერვეტი-ლუცერნი	1,7	3,2	4,4
088	სენტ გალენი-გრასპოპერი	2,0	3,0	3,5
089	ციურიხი-ქსამასი	1,7	3,1	4,7

შვეიცარია. „ბ“ ჯგუფი. მე-11 ტური  
5 სექტემბერი

090	ბელინცონა-თუნი	1,6	3,4	5,0
091	დელემონი-კარუჟი	1,5	3,6	5,6
092	კრინსი-ლოკარნო	2,5	3,0	2,5
093	სოლოთურნი-ბადენი	2,0	3,2	3,3
094	ვანგენი-ვილი	2,4	3,0	2,7

დანია. მე-7 ტური  
6 სექტემბერი

095	ორჰუსი-ლიუნგბიუ	2,3	3,0	2,9
096	ბრიონდბიუ-ვიბორგი	1,75	3,2	4,0
097	ჰერფიოლგე-სილკებორგი	2,4	3,1	2,6
098	მიდტიულანდი-ჰადერსლევი	1,35	4,0	7,5
099	მიდტიულანდი-ჰადერსლევი 0:1	1,9	3,3	2,5
100	ოდენსე-ვებორგი	2,5	3,0	2,5
101	კოპენჰაგენი-აკადემისკი	2,3	3,1	2,6

რუსეთი. 24-ე ტური  
6 სექტემბერი

102	ჩერნომორეცი-ლოკომოტივი	3,0	2,9	2,3
103	სატურნი-კრილია	1,5	3,4	6,5
104	დინამო-სპარტაკი	3,8	3,0	1,8
105	ნანოვგოროდი-ფაკელი	2,1	2,9	3,4
106	ანჟი-როტორი	1,35	4,0	7,5
107	ანჟი-როტორი 0:1	2,0	2,8	2,5
108	ზენიტი-ალანია	1,65	3,2	5,0
109	ტორპედო-ურალანი	1,15	6,0	12,0
110	ტორპედო-ურალანი 0:1	1,4	3,6	4,0
111	როსტსელმაში-ცსკა	2,6	2,8	2,6

შვედეთი. მე-18 ტური  
5 სექტემბერი

112	ჰელსინგბორგი-ტრელებორგი	1,6	3,4	5,0
113	იორგრიტე-გაის	1,5	4,0	5,0
114	ჰალმსტადი-გილტბორგი	2,0	3,2	3,3
115	ნორჩიოპინგი-ჰეკენი	1,65	3,4	4,4
6 სექტემბერი				
116	ელფსბორგი-სუნდსვალი	1,6	3,4	5,0
117	ჰამარბი-იორბრო	2,1	3,1	3,2
118	ფრიოლუნდა-აიკ	4,4	3,4	1,65

ინგლისი. ლიგის თასი. I ეტაპი. II მატჩები  
5 სექტემბერი

119	პართლბული-ბარნლი I მატჩი:1-4	3,1	3,0	2,2
120	რექსემი-მენსფილდი 1-0	1,45	3,8	6,0
121	პარსლი-როთერჰემი 1-0	1,3	4,4	8,0
122	ბირმინგემი-საუთენდი 5-0	1,2	5,6	10,0
123	ბლექჰული-სტოკპორტი 1-0	2,7	3,0	2,4
124	ბორნმუთი-ნორვიჩი 0-0	2,8	3,1	2,3
125	ბრენტფორდი-ბრისტოლი 2-2	2,2	3,2	2,9
126	როვერსი-პლიმუთი 2-1	1,4	3,8	7,0
127	ბერი-ქრიუ 2-2	2,3	3,0	2,9
128	კარდიფი-კრისტალ პალასი 1-2	2,7	3,0	2,4
129	კარლაისლი-გრიმსბი 0-2	2,8	3,1	2,3
130	ჩელტენემი-უოტფორდი 0-0	3,8	3,2	1,8
131	ჩელტენემი-პორტ ველი 2-1	2,3	3,1	2,8
132	ექსეტერი-სუინდონი 1-1	2,7	3,2	2,3
133	ფულემი-ნორთჰემპტონი 0-1	1,25	5,0	9,0
134	ჰადერსფილდი-ოლდემი 0-1	1,4	3,8	7,0



# გათამაშების წესები

135	კიდერმინსტერი-უოლსოლი 1-1	2,9	3,0	2,3
136	ლინკოლინი-შეფილდი 1-6	3,1	3,2	2,1
137	მაკლსფილდი-ბოლტონი 0-1	4,2	3,1	1,75
138	მილუოლი-ბრაიტონი 2-1	1,4	3,8	7,0
139	ნოტსი-ჰალი 0-1	1,35	4,0	7,5
140	ოქსფორდი-ვულვერპემპტონი 1-0	3,8	3,2	1,8
141	პიტერბრო-ლუტონი 0-0	1,8	3,2	3,8
142	პორტსმუთი-კემბრიჯი 0-0	1,4	3,8	7,0
143	პრესტონი-შრიუსბერი 0-1	1,25	5,0	9,0
144	რედინგი-ლეიტონი 1-1	1,4	4,0	6,5
145	სკანთორპი-უიგანი 0-1	3,1	3,2	2,1
146	ტორკი-ჯილინგემი 0-2	3,6	3,3	1,8
147	უიკომბი-ბარნეტი 1-2	1,5	3,6	5,6
6 სექტემბერი				
148	ნოტინგემი-დარლინგტონი 2-2	1,35	4,0	7,5
149	სტოკი-იორკი 5-1	1,3	4,4	8,0
150	ვესტ ბრომვიჩი-სუონსი 0-0	1,5	3,6	5,6
151	ბლეკბერნი-რონდელი 1-1	1,2	5,6	10,0
152	ჰალიფაქსი-ტრანმერი 0-3	3,8	3,2	1,8
153	ჟუინზ პარკი-კოლჩესტერი 1-0	1,35	4,0	7,5
იტალია. თასის II ეტაპი. II მატჩები 6 სექტემბერი				
154	ბოლონია-ვენეცია I მატჩი: 2-2	1,5	3,4	6,5
155	ვერონა-პიაჩენცა 1-2	1,6	3,2	5,6
156	ლენე-კოვენცა 2-0	1,35	3,8	8,0
157	ბარი-ტორინო 1-2	1,6	3,1	6,0
158	რეჯინა-ატალანტა 0-2	1,9	2,9	4,0
159	პერუჯა-სალერნიტანა 0-1	1,6	3,1	6,0
160	ვიჩენცა-ბრეშა 1-2	1,9	2,9	4,0
7 სექტემბერი				
161	ნაპოლი-სამპდორია (ნეტრ.) 0-1	1,75	2,9	4,7
ჩეხეთი. თასის III ეტაპი 5 სექტემბერი				
162	ოპავა (2)-პროსტეიოვი (2)	1,3	4,0	7,5
163	ჰნინიჩი (3)-ლიბერეცი	12,0	6,0	1,05
164	კრომერჟი (3)-ჟიჟკოვი	9,0	6,0	1,1
165	კუნოვიცე (3)-აბლონიცი	6,5	4,0	1,35
166	ვისოჩინა (2)-ბრნო	3,6	3,4	1,7
167	ტრჟინეცი (2)-ბუდეიოვიცე	6,0	3,8	1,4
168	კრი (3)-ელშანი	7,0	4,2	1,3
169	ქსავეროვი (2)-პრჟიბრამი	3,6	3,4	1,7
170	ვრატისლავი (3)-სინოტი	9,0	5,0	1,2
171	ალბრეხტოვიცე (3)-სლავია	12,0	6,0	1,05
6 სექტემბერი				
172	მოსტი (2)-სპარტა	10,0	5,6	1,1
173	ზოპოტოვი (2)-პლზენი	2,8	2,9	2,3
174	პარდუბიცი (2)-ბოჰემიანსი	4,0	3,2	1,7
პოლონეთი. ლიგის თასის 1/8 ფინალი. II მატჩები 6 სექტემბერი				
175	პოლონია-ვლუკაიაკი (2) I მატჩი: 2-3	1,1	6,0	12,0
176	რუხი-ზაგლებე 2-4	1,9	3,0	3,8
177	ვისლა-ვროცლინი 0-0	1,15	5,6	10,0
178	კატოვიცე-ლეგია 0-1	3,5	2,8	2,1
179	რადომსკო (2)-ოდრა 2-1	2,4	3,0	2,7
180	პოლონოვიცე (2)-გურნიკი 1-1	2,7	3,0	2,4
181	ამიკა-ვიჟევი 2-2	1,7	3,0	4,4
182	ჰეტმანი (2)-პოგონი 0-5	4,0	3,2	1,7
შოტლანდია. ლიგის თასის III ეტაპი 5 სექტემბერი				
183	სელტიკი-რეით როვერსი	1,05	7,0	15,0
184	დანდი იუნაიტედი-აირდრი	1,4	3,6	6,5
185	სტ.ჯონსტონი-კილმარნოკი	2,2	3,1	3,0
186	სტ.მირენი-დანდი	2,7	3,0	2,4
6 სექტემბერი				
187	ფოლკირკი-ჰიბერნიანი	4,4	3,4	1,6
188	დანფერმლიანი-მოზერუელი	2,0	3,2	3,3
189	ლინკოლინი-პარტოხი	3,4	3,1	1,9
190	რეინჯერსი-აბერდინი	1,15	5,6	10,0
ნორვეგია. თასის 1/4 ფინალი 5 სექტემბერი				
191	ბოდიო გლიმტი-ლილესტრ.	2,4	3,0	2,7
6 სექტემბერი				
192	ოდ გრენლანდი-მოსი	1,7	3,4	4,0
193	სტარტი-მოლდე	3,6	3,3	1,8
194	ვიკინგი-ვოლერენგა	1,5	3,8	5,3

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიყოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშე უნდა გამოიყოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეთაფის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მიწოდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩათვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეიცვას გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასკით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასკით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკომპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედი ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# მაკაბის გოგობერიშვილის დახმარება

**კორაჩის ტასუა** მოასპარეზე ერთადერთი ქართული კლუბი თბილისის „მაკაბი“ ბელარუსის ჩემპიონ „ბე გროდნო 93“-თან გასამართ ორარუნ-დიან ბრძოლაში რუსთავის „აზოტის“ უკანახაზელსა და ლიდერს, რამაზ გოგობერიშვილს დაიხმარს. შეგახსენებთ, იგი მხოლოდ ევროთასზე შეეშველება „მაკაბის“, ისე კი, კვლავაც „აზოტის“ საკუთრება და მეთუ ეროვნულ ჩემპიონატსაც, ალბათ, მშობლიურ კლუბში გაატარებს. გოგობერიშვილი ორკვირიან შეკრებაზე ახლდა „აზოტის“ ურეკში, „მაკაბის“ კი დღეს შეუერთდა. უდავოა, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრისა და გასული ჩემპიონატის ალბათ საუკეთესო მოთამაშის, რამაზ გოგობერიშვილის დახმარებით „მაკაბის“ „გროდნოს“ ბარიერის გადალახვის შანსი გაეზარდა.

**მალერი ფუტბოლი**

## ოლიმპიური ანგარიშები

### ლიტვა

# ლიტვა დაკოპლექტდა

**ლიტვის** ნაკრებმა სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ევროპული ეტაპი მოამთავრა. შაბათ-კვირას იგი შინ, ჯერ ვილნიუსში, შემდეგ კი კაუნასში შეხვდა ეგვიპტეს. გუშინ ლიტველ კალათბურთელები ავსტრალიას გაემგზავრნენ, სადაც ოლიმპიადის დაწყებამდე ხუთ საკონტროლო შეხვედრას გამართავენ. პირველი მატჩის წინ ლიტვის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იონას კახლაუსკასმა დაასახელა ის 12 კალათბურთელი, რომლებიც ოლიმპიადში მიიღებენ მონაწილეობას. საბოლოოდ დამტკიცდა, რომ სიდნეიში არ გაემგზავრებიან ტრავმირებული — არვიდას საბონისი, არტურას კარნი-შოვასი და ვირგინიუს პრაშკევიჩუსი. ნაკრებს მიღმა დარჩნენ ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ფორვარდი მინდაგას ჟუკაუსკასი და ვილნიუსის „ლიტუვის რიტასის“ ცენტრი რობერტას იავტროკასი. კახლაუსკასმა აღნიშნა, რომ ეს კალათბურთელები მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდებიან ოლიმპიურ გუნდში, თუკი ძირითადის შემადგენლობის რომელიმე მოთამაშე ტრავმას მიიღებს. ლიტვის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა კი ამგვარია:

**შპანბ ხაზი:** ანდრიუს გელრაიტისი (ლიტუვის რიტასი), შარუნას აისიკევიჩუსი (ბარსელონა, ესპანეთი),

### ესპანეთი

# ესპანელები იაპონიაში მოკეთდნენ



**რობერტო ლუენისი** გამოჩენილთა

ესპანეთის ნაკრებმა სამშობლოდან იაპონიაში გადაინაცვლა და იქ აგრძელებს მზადებას სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის. ესპანელთა მეტოქე პირველ საკონტროლო მატჩში იაპონია იყო. შეხვედრა ტოკიოში გაიმართა და სტუმართა სრული უპირატესობით წარიმართა — 99:58 (47:28). ესპანეთის ნაკრებს დაუბრუნდნენ ლიდერი ალბერტო ერეროსი და ცენტრი რობერტო ლუენისი, რომლებმაც ტრავმების გამო გუნდის ბოლო ხუთ შეხვედრაში მონაწილეობა ვერ მიიღეს.

**ესპანეთი:** როდრიგესი (7), ხიმენესი (7), ერეროსი (12), დე მიგელი (6), რიესი (11); გარბახოსა (7), ლოპესი (5), დე ლა ფუნტე (3), ნავარო (13), როდერსი, ა. ანგულო (14), დუენასი (14)  
**იაპონია:** აონო (1), საკო (16), ორიმო (5), შოჯი (14), ფურუტა (2); ნაია (2), მიანოკოში (3), კიტა (9), ვიისი (3), მასეგავა, საკუმოტო, იშიზავა (3)

მორიგ საკონტროლო მატჩს ესპანელები 10 სექტემბერს გამართავენ ტოკიოში. მათი მეტოქე ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები იქნება.

**„ბრილიანტის ბურთის“ ტურნირი**  
პონკონგი.  
2-6 სექტემბერი

# სიუსხე, ტანი, უძილობა

**ოლიმპიური** თამაშების მონაწილე გუნდები თავ-თავიანთ ქვეყნებსა თუ კონტინენტებზე მზადებას ამზადებენ და ნელ-ნელა ტერიტორიულად უახლოვდებიან სიდნეის. ექვსი ნაკრები პონკონგში შეიკრიბა და „ბრილიანტის ბურთად“ წოდებულ ტურნირში მონაწილეობს. ეს შეჯიბრება სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ევოლუციური იმართება და ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ ეტაპად აღიქმება. მონაწილენი ერთგვარად ოლიმპიადის დედაქალაქის გარემოსაც ეჩვევიან — პონკონგში სიდნეისთან მიახლოებული კლიმატური პირობებია, ხოლო დროებს შორის სხვაობა სულ ორი საათია.

ტურნირში მონაწილე ევროპული გუნდები ოთხშაბათს ჩავიდნენ პონკონგში, მაგრამ აკლიმატიზაციის პრობლემა მაინც შეექმნათ. ივოსლავიელები შეუწყნებულნი არიან ტროპიკული სიცხით და ჰაერის მაღალი ტენიანობით, რასაც ხედ უძილობა დაერთო. იტალიელები კი სიცხემ გათანგა და თუკი ნაკრების ცენტრ მარსელო დამიას ვენდობით, ანგოლასთან მატჩის პირველსავე ტაიმში ისე დადღილან, რომ ძლივს დალასლავებდნენ. ავსტრალიას, ჩინეთს და ანგოლას მსგავსი პრობლემები არ აწუხებთ, ხოლო კანადა კარგა ხანს იყო ჰავაის კუნძულებზე და პონკონგთან და სიდნეისთან მიახლოებულ პირობებში ემზადებოდა.

ექვსი გუნდი ორ ჯგუფადაა გაყოფილი. ჯგუფებში პირველ ადგილზე გასულები ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან.

ორი დღის შედეგები კი ასეთია:

**A ჯგუფი**

2 სექტემბერი  
**იუზოლანია 84:64 ჩინეთი**  
იუზოლანია: ბოდიროვა (6), დანილოვიჩი (5), დრობინია (10), გურუოვიჩი (6), იესტრატევიჩი (11), ლონარი, ლუკოვსკი (6), ობრადოვიჩი (5), შენანოვიჩი (2), სტოიკოვიჩი (15), ტარალი (4), ტომაშევიჩი (14)  
ჩინეთი: ჰუ (2), 5. ლი (3), ლიუ (10), მენგი (1), სუნ (15), ვანგი (22), იაო (4), ფანგი (7)

3 სექტემბერი  
**კანადა 86:73 ჩინეთი**  
კანადა: ბარტი (21), დანიელსი (2), გუარასი (9), შამილტონი (7), მაკალოუნი (12), მენისი (5), მიკსი, ნუმი (26), ნიუტონი (4), სეარა (4)  
ჩინეთი: გუო (7), ჰუ (3), 5. ლი (17), კ. ლი, ლიუ (5), მენგი (2), სუნ (10), ვანგი (12), იაო (1), ფანგი (16)

**B ჯგუფი**

2 სექტემბერი  
**იტალია 77:61 ანგოლა**  
იტალია: აბიო (15), ბაზილე (12), კამბიტა (7), დამიო (15), გალანდა (9), ლი გეი (2), მაგალი (1), მენგინი (6), მიანი, მიერსი (20)  
ანგოლა: ალმეიდა (7), ბარტოლომეუ (7), კარვალუ (5), ლუტონდა (11), მონტირო (13), მორეირა (2), მუზადი (3), ვიქტორიანი (13)

3 სექტემბერი  
**ამსტრალია 95:53 ანგოლა**  
ავსტრალია: ენსტი (2), ბრადტე (13), ვატალინი, გეიზი (15), გრეისი (4), ჰილი (17), ლონგლი (15), მაკინონი (6), მაჟორი, როდერსი (8), სმიტი (12), ვლაშოვი (3)  
ანგოლა: ალმეიდა (8), ბარტოლომეუ (5), კარვალუ, ჩიბონგი (2), კომბრა, კატიალა, ლუტონდა (5), მონტირო (15), მორეირა (6), მუზადი (9), ვიქტორიანი (3)

# პერიბაზა სიეტლსკად

## ფანტომი ბიკის და პიტონს მასლა

**მომხსენებამი**, ამ რამდენიმე დღის წინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გრანდოზული გაცვლა მზადდებოდა, რომლის დარიც ლივის ისტორიას არ ახსოვს. გაცვლის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში ოთხი გუნდის ერთმანეთს ცვლილი კალათბურთელი შეიცვლიდა გუნდს, მაგრამ ყველაფერი ჩაიშალა.

არშემდგარი გაცვლის ერთ-ერთი მონაწილე ჩვენებური ვლადიმერ სტეფანია „სიეტლ სუპერსონიქსი“ გახლდათ. „სიეტლ“ სხვა გუნდებში რამდენიმე მოთამაშეს, მათ შორის სტეფანიასაც (დეტროიტში), უშვებდა. ამ გაცვლაში კი უმთავრესი ფიგურა მისი თანაგუნდელი ვინ ბეიკერი და ნიუიორკელი პატრიკ იუინგი იყვნენ, რომლებსაც მათი გუნდები ერთმანეთში ცვლიდნენ. აღსანიშნავია, რომ კლუბებს თავად კალათბურთელთათვის არაფერი უკითხავთ, ისე ცდილობდნენ საქმის მოკვარაზინებას, ამან კი მოთამაშეები გაანაწყინა, განსაკუთრებით ვინ ბეიკერი. იგი „სიეტლში“ რჩება, კლუბის ხელმძღვანელობას კი არ სურს „ზეგადიტოთა“ ერთ-ერთ ლიდერთან ურთიერთობის წახდენა და მასთან შერიგებას ცდილობს.

ამჟამად ვინ ბეიკერი, ისევე როგორც მისი თანაგუნდელი „სიეტლში“, გერი პეიტონი, ჰავაის ყველაზე წარმატებულ კუნძულ მათზე იმყოფება და ამერიკის ოლიმპიური ნაკრების რიგებში სიდნეის ოლიმპიადისთვის ემზადება. ბეიკერთან პირისპირ შესახვედრად და გულახდილად მოსალაპარაკებლად „სიეტლს“ მთავარი მწვრთნელი პოლ ვესტფოლი თვითმფრინავით ორსაათიან მგზავრობასაც არ მორიდებია და ჰავაის კუნძულებზე გადაფრენილა. მიწოდდა, ვინს და გერის მანამდე დავლაპარაკებოდა, ვიდრე ისინი ავსტრალიას გაემგზავრებოდნენ — ამბობს ვესტფოლი.

„თავს ისე ვგრძობდი, თითქოს ჯოჯოხეთში ვყოფილიყავი — ამბობს ვინ ბეიკერი — პოლი (ვესტფოლი) კარგი ბიჭია. მე და მან ნახევარი საათი გულახდილად ვისაუბრეთ და ცოტა გამომიკეთდა გუნება. ჩვენ ისეთ ბიზნესში ვართ, სადაც ნებისმიერი შემთხვევისთვის მზად უნდა იყო, მაგრამ ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ერთობ ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ჩემთვის არაფერი უკითხავთ, არ მქინია საშუალება, პოლს ან ვალი უოლკერს (სიეტლის გენერალური მენეჯერი) მოვლაპარაკებოდი. ახლა ჩვენს შორის კავშირი აღსდგა და ეს ამსუბუქებს შექმნილ მიძიმ ვითარებას.“

არშემდგარი გაცვლის გამო თავისი უკმაყოფილება არ დაუმალავს „სიეტლის“ ლიდერ გერი პეიტონს. გუნდის ხელმძღვანელობა, მწვრთნელთან ერთად, ჩვეულებრივ, მასაც უთანხმებდა ხოლმე, თუ ვის გაცვლას ან ვის აყვანას აპირებდა. ამ შემთხვევაში პეიტონი საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ. „ამ გაცვლის აუცილებლობა ნამდვილად არ იყო. ვფიქრობ, ამით არაფერი გაუჭვრეტებოდა. ხელახლა ამუშავების პროცესს სულ მცირე ერთი წელი მაინც დასტორდებოდა და არც პროგრესი იყო მოსალოდნელი. ამდენად ჩვენ ტყუილად დაგვიკავადით დროს“ — ამბობს პეიტონი. მას არც ის დაუმალავს, რომ ბეიკერის ნაცვლად გუნდში ბებერი იუინგის მოსვლა გულზე არ ეხატებოდა: „მატრიკი დაიდა მოთამაშება, მაგრამ იგი ასაკოვანია ვინთან შედარებით და ბევრსაც ტრავმიალობს. ამიტომ, ვფიქრობ, ეს გაცვლა იქნებოდა ნაბიჯი უკან“. პოლ ვესტფოლი პეიტონსაც ესაუბრა პირისპირ და მასაც მოუბრუნა ახალი მშობლიური გუნდის მამების მიმართ.

## საკალიდისი ფინიქსს უხეობა და ათენში დაბრუნებას არ აპირებს

**ფლევანდელი** დრაფტის პირველ წრეში „ფინიქს სანზის“ მიერ არჩეული ბერძენი ცენტრი იაკოვოს ცაკალიდისი ხუთშაბათს ფინიქსში ჩავიდა იმ იმედით, რომ „სანზის“ რიგებში უკვე ამ სეზონში ითამაშებდა. თუმც მის ოცნებას, რაც შეიძლება მალე შეაბიჯოს პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში, უახლოეს მომავალში იქნებ არც უწყურია ახდენა. ადრეც იუწყებოდით, რომ ცაკალიდისსა და ნა-ს შორის ღვას მისი ბერძნული კლუბი, ათენის აეკი. დიას, სწორედ აეკი-ია იაკოვოსის გუნდი და არა მისი დრაფტში ამრჩევი „ფინიქს სანზი“, რომელთანაც ბერძენ ცენტრს ჯერ არავითარი ხელშეკრულება არ გაუფორმებია. სამაგიეროდ, მას ათენურ კლუბთან კვლავ აკავშირებს კონტრაქტი, რომლის ძალითაც კიდევ ორი წლით აეკის საკუთრებაა.

პარასკევს, პირველ სექტემბერს, აეკის წარმომადგენელმა ბერძენ ურნალი-სიტებს ვანუცხადა, რომ კლუბი თავის კალათბურთელის წინააღმდეგ ზომებს მიიღებს, თუ იგი კლუბს ათენიდან ორი დღის განმავლობაში არ შეეხმინებოდა. „ის ჯერ კიდევ აეკის მოთამაშეა და ჩვენ მას ვვლით“ — განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა იანის გრანიცასმა და თან დაურთო, რომ კალათბურთელი ვალდებულია, ბოდიში მოიხადოსო.

რამდენადც ცნობილია, აეკი-დან თვითნებურად წასული ცაკალიდისის უახლოეს გეგმებში ათენში ჩასვლა და ბოდიშის მოხდა ნამდვილად არ შედის. იგი ფინიქსში იმისთვის ჩავიდა, რომ იქაური კლუბის ხელმძღვანელობას შეხედეს. მას ნაკლებად ადლებს ბერძენთა მუქარა, ფულად ჯარიმას დაგაკისრებთ და ექვსთვიან დისკვალიფიკაციასაც მოგცემთო. ცაკალიდისი ახლა ქალაქ ფინიქსის გაცნობითაა დაკავებული. „დიას, ის აქა — ამბობს „ფინიქსის“ პრეზიდენტი ბრაიან კოლანჯელი — მას ჰქონდა საუბარი გუნდის მწვრთნელთან. იგი ფინიქსს ეჩვევა, ეცნობა ქალაქს და ჩვენთან დარჩება მიუხედავად იმისა, ბერძნებთან შეთანხმება დაეკვირდება, თუ კალათბურთელის სასამართლოს ძალით დასაკუთრება.“

„ფინიქსს“ არ სურს ამ კალათბურთელის დაკარგვა. როდესაც დრაფტში ირჩევდნენ, კლუბის ხელმძღვანელებმა მშვენივრად უწყოდნენ, რომ ცაკალიდისს ჯერ კიდევ კონტრაქტი აკავშირებდა აეკი-თან და ამას არ მოერიდნენ. ფინიქსელები შეგუებული იყვნენ იმ ფაქტს, რომ ბერძენი შესაძლოა მამნივე არ გამხდარიყო „სანზის“ საკუთრება, მაგრამ აქ თავად ცაკალიდისმა განაცხადა, ცოცხალი თავი საბერძნეთში სათამაშოდ აღარ მივბრუნდებიო.

აეკი-თან მოსალოდნელი უთანხმოების თავიდან ასაცილებლად, „ფინიქსს“ შეუძლია, გამოისყიდოს კალათბურთელის კონტრაქტი. თუმც ნა-ს წესის თანახმად, კლუბს ვერაძლება ამ საქმეზე 350 ათას დოლარზე მეტის დახარჯვა. არაფერ იცის, რამდენს ითხოვს აეკი, მაგრამ უდავოა, რომ ეს თანხა ნა-ს მიერ განსაზღვრულს აღემატება. ასეთ შემთხვევაში, თუ აეკი თავის კუთვნილს მოითხოვს და ამისთვის ზომებსაც მიიღებს, „სანზი“, ცაკალიდისი და მისი ავერტი აპირებენ, ლონდონის სასამართლოში აღძრან სარჩელი და შეეცადონ, ბერძნულ კლუბთან კონტრაქტი გააბათილონ. სასამართლო პროცესი, სავარაუდოდ, ორ ან სამ კვირას გასტანს.

22 წლის იაკოვოს ცაკალიდისს იმედი ჰქონდა, რომ წლებიანი დრაფტის პირველ ათეულში მოხვდებოდა, მაგრამ მხოლოდ 25-ე არჩევანი გახდა, რაც მისი აეკი-თან კონტრაქტის ბრალია. „ფინიქსი“ ბოლო წლებში მწვევედ განიცდის რიგვანი ცენტრების ნაკლებობას და შესაძლოა უთანხმოებებს თავისი რჩეულის გუნდთან ამიტომაც არ მოერიდა.

## ირაკლი ფინიქსი

# გუნდოვანი სისხალი

## ფედერაციაში ჯერ მხოლოდ ის იცის, რომ გააპატრონება

გუშინ კალათბურთის ფედერაციაში მეთექვსმეტეჯერ შეიკრიბნენ. არაფერი ჩანდა „ბასკოს“, „ფითას“, „გორისა“ და სხვა-სხვა მხრიდან, დანარჩენები ადგილზე გახლდნენ. შეკრებილი, ცხადია, ჩემპიონატის დებულებასზე, ჩატარების სისტემასზე და სხვა წვრილმან-მსხვილმანზე უნდა ყოფილიყო და აქ ისე რომ საბოლოო მომენტში სჯა-ბასას. ამის შემდეგ კი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, დუდუ დადიანი დაევიმართოსეულიყო...



დუდუ დადიანი

აყნონებს ჩემპიონატის ჩატარების სისტემას, რადგან საეჭვოა, მანამდე მონაწილეობის მსურველთა ზუსტი რიცხვი დადგინდეს.

ჩვენ შევეცდებით, ეს საკითხი უახლოეს დღეებში გავარკვეოთ, რადგან უამისოდ კონკრეტულად საუბარი ჭირს. ერთი რამ ნამდვილად ვიცით, თუ თორმეტი მსურველი არ შეგროვდა, ათგუნდა ჩემპიონატს ჩავატარებთ. არა მგონია, ამან რაიმეს ხელი შეუშალოს, სისტემა იგივე დარჩება, უბრალოდ, ორი წრის შემდეგ უმჯობესი იქნება, მდებარეობის ექვსმა გუნდმა გააგრძელოს ბრძოლა. ერთი სიტყვით, აღმასკომის სხდომას დაველოდოთ და ყველაფერიც მაშინ გაცხადდება.

— სადღესოდ რამდენი გუნდის თანხმობა გაქვთ?  
— ცხრის, „ფითას“, „გორისა“ და სხვა-სხვა საქმე ჯერ გასარკვევია. თამაშის სურვილი, ცხადია, მათაც აქვთ, მაგრამ ჯერ უნდა იქნებოდეს პრობლემები უნდა მოგვარდეს.

— და მინც, როდის შეეცდებით მონაწილე გუნდთა ზუსტ და საბოლოო რიცხვს და როდის დაიწყება ჩემპიონატი?

— 20 სექტემბერს განაცხადები ფედერაციაში უნდა იდოს. კლუბებს შეუძლიათ, ერთი კვირის დაგვიანებით წარმოადგინონ, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ ჯარიმა არ ასცდებთ. 27 სექტემბერი ბოლო ვადაა, შემდეგ შეუწყვეტ განაცხადების მიღებას. ჩემპიონატი კი თავდაპირველად თქმული 1 ოქტომბრის ნაცვლად, სავარაუდოდ, შეიძლება დაიწყება. კორაჩის თასზე საქართველოს ერთადერთ წარმომადგენელს, „მაკაბის“ გავუწიეთ ანგარიში, 4 ოქტომბერს უწევს თამაში და გვსურს მთლიანად ევროთასზე იყოს ორიენტირებული. ამას გარდა, ჩემპიონატის დაწყების ერთი კვირით გადაწევა ორგანიზაციულ საკითხთა სათანადოდ მოწესრიგების საშუალებასაც მოგვცემს.

— წლეულს რამდენს შეადგენს ჩემპიონატში მონაწილე თანხა?

— კლუბებს 4300 ლარის გადახდა მოუწევთ, შარშანდელზე 500 ლარით მეტის. გადასახადის მომატება აუცილებელი იყო, რადგან ჩვენს მიერ შეთავაზებული სისტემა გაცილებით მეტი მსურველის გამართვას ითვალისწინებს და მათ ორგანიზაციას ფულიც სჭირდება.

— ბოლო დროს ზეგრი ითქვამს და დაიწერა ჩემპიონატში მონაწილე გუნდთა რაოდენობის შემცირების აუცილებლობაზე. ამ ეტაპზე ეს გამოირიცხვება, მაგრამ თუ სამომავლოდ ამის მართლაც აპირებთ, დებულებაში ამბავითვე უნდა დაფიქსირდეს...

— ამ საკითხზე ბევრი გვიფიქრია. გუნდების შემცირებას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. შესაძლოა, მიმზიდველობამ მართლაც იმატოს, მაგრამ მეორე მხრივ კალათბურთის მასობრიობა შემცირდება, რამაც შესაძლოა თაობების დაკარგვა გამოიწვიოს. ისეც შეიძლება, ლიგებში დივიზიონებად რომ დავყოთ და დავანარჩინოთ გუნდები, მაგრამ მიმანჩია, რომ ეს მოვლელი ჩვენში არ გაამართლებს. ქართული ხასიათიდან გამომდინარე, დაბალ დონეზე თამაშს არავინ იკადრებს, ამით კი უამრავ კადრს მოვისაკლისებთ. ჩვენ გადავწყვიტეთ, სუსტ გუნდებსაც მივცეთ თავისი გამოჩენის საშუალება. თავისუფალი დივიზიონითან პაქტობით, ცხადია, გამოიწვითობიან და მეორე და მეორე იქნება ამბიციური გაუვლილები.

— ბათუმის „ბასკო“ და რუსთაველის „აზოტი“ კვლავაც თავიანთ ქალაქებში უმასპინძლებენ მეტოქეებს?

— ესეც შესათანხმებელია, ჯერ ვერაფერი გეტყვით. სადღესოდ მხოლოდ საორტის სასახლისა და ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზებია დატოვებული, სხვა წინადადებებს მოგვიანებით განვიხილავთ. მთავარია, დებულება დაემატოს, მონაწილე გუნდთა რაოდენობა დავადგინოთ და ჩემპიონატის ჩატარების სისტემა შევიმუშავოთ, დანარჩენ, წერილ-წერილ ორგანიზაციულ საკითხებს მერე მივხედავთ. ისე კი გეტყვით, რომ კანონი ყველასთვის ერთი იქნება და, სხვათა შორის, აღინდობთ შედარებით ერთიორად გამკაცრებული. ამას თავდაც ნახავს გულშემატკივარი.

გიორგი ბიკაშვილი

— საცა ჩემპიონატი უნდა დავიწყოთ და ჯერაც ბევრი რამაა ბუნდოვანი. ამიტომ გადავწყვიტეთ, ფედერაციაში კლუბების წარმომადგენლები მოგვეხმო და ამა თუ იმ საკითხზე მათ შეხვედრებზე გავცნობოდით. ისეც ცოტა არ იყოს, უპასუხისმგებლოდ მოიქცნენ კლუბები. ჩვენ მათ ვთხოვეთ, თავიანთი პროექტები წარედგინათ ჩვენთვის, გვსურდა, მათი აზრიც გავგეგოთ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, კაციშვილს არაფერი მოუტანია.

— ჩემპიონატის ჩატარების სისტემას ფედერაცია ადგენს. თუ გაციანით კლუბებს თქვენსეული პროექტი?

— ჩვენ შევიმუშავეთ თორმეტგუნდა ჩემპიონატის ჩატარების სისტემა, რაზეც, ბუნებრივია, კლუბებსაც ვაუწყებთ. გუნდები თავდაპირველად ორ წრედ ითამაშებენ, შემდეგ რვა საუკეთესო შეხვედრა ერთმანეთს ასევე ორ წრედ და ამის მერე, ჩვეულებრივად, ნახევარფინალი და ფინალი იქნება. რაც შეეხებათ მეცხრე-მეთორმეტე ადგილოსნებს, მათ კიდევ რამდენიმე გუნდი დაემატებათ, ითამაშებენ ორ წრედ და ოთხი გამარჯვებული საჯაროდ ელიტაში დაიკვიდრებს ადგილს.

— ეს მოსაზრება მოიწონეს კლუბებს?

— ყოველ შემთხვევაში, რადიკალურად განსხვავებული აზრი არავის გამოუთქვამს. იყო წერილ-წერილი შენიშვნები, მაგრამ საბოლოოდ ჩანს ამ სისტემაზე შეგანერებთ ყურადღებას.

— მამ, ეს საკითხი გადაწყვეტილად ჩავთვალეთ?

— არც მასეა, საბოლოო სიტყვა აღმასკომმა უნდა თქვას, ჩემპიონატის ჩატარების სისტემა აღმასკომის სხდომამ უნდა დაამტკიცოს, რომელიც უახლოეს დღეებში გაიმართება. იცით, ჩვენ ვაგაბრკოლებს? ის, რომ დღემდე არ ვიცით, რამდენ გუნდს მივუყრით თავს. აქედან გამომდინარე, ზუსტი პასუხის გაცემაც მიჭირს.

— თუ ასეა, ვერც აღმასკომი და-

**თავილისი**  
2 სექტემბერი

**საქართველოს საფეხბურთო ფედერაცია**  
საქ. ქვეთარაძე, ბალანჩივაძე, სუჯაშვილი, მათიაშვილი, ტყეშელაშვილი, ცხადაძე (მაისურაძე), უჩაძე, აბუსეროვი, აბრამიშვილი, ბინუკოვი, კაპანაძე, ურჯუაშვილი, ზაქარაიძე, კინაძე

**3 ლ — აბუსეროვი, სუჯაშვილი, აბრამიშვილი**

**2 ლ — უჩაძე (2) 1 ა — აბრამიშვილი**

**ფორმები: თედორაძე, ხოსროშვილი, ფორიაშვილი, სურგულაძე, ჩაკვეტაძე, გიგაური, გ. ხაბიეშვილი, კობახიძე, კახარაძე, ტრაპაიძე (გ. მხიტი), ნ. მხიტი, ბარძიმაშვილი (ხელაძე), საგანდელიძე, იმნაძე, კობერიძე**

**2 ლ — კობახიძე, ხელაძე**

**1 ს — კობახიძე, 2 გ — კობახიძე (2)**

**გამყვანები: მ. ურჯუაშვილი**

**მსაჯე: გ. ბაბუნაშვილი**

**მეთვალყურე: მ. რობიტიანი**

# რა ელის ურჯუაშვილს?



არმიელი სუჯაშვილის ლელომდე და თამაშის გარდატეხამდე წამილია

არც კი მასსოვს, ბოლოს როდის შეძლებს არმიელმა „ყოჩების“ დამარცხება, იმის თქმა კი დანამდვილებით შეუძლებელია, რომ შარშანდელი ჩემპიონატის პირველი ტურიდან შაბათს გამართულ მატჩამდე ასკ-ს „ყოჩებზე“ გამარჯვება ჯერ არ ეხებოდა. ყველაზე ახლოს სასურველ შედეგთან არმიელმა წლეულად ჩემპიონატის გახსნის მატჩში იყვნენ. მაშინ მსაჯის მიერ დამატებული დროის ბოლო წუთამდე უპირატესობა ასკ-ს ეყრდა ხელთ, იგებდა, მაგრამ ყოჩებმა მაინც მოიკრიბეს ძალ-ღონე და საბოლოოდ გამარჯვებასაც მიაღწიეს. მარცხით განრისხებულმა მასპინძლებმა ჩათვალეს, რომ მთავარმა მსაჯმა ნოდარ რობიტიანი საჭიროებო მეთი დრო დაამატა და მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. არმიელთა პროტესტის მიუხედავად, მატჩის შედეგი უცვლელი დარჩა, ხოლო ინციდენტის „შემოქმედნი“ დაისაჯნენ. ეს მატჩი იმიტომ გავიხსენეთ, რომ შაბათს გამართული შეხვედრა ტყუპისკალივით ჰგავდა მის წინამორბედს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად არმიელებმა შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება და, შეიძლება ითქვას, გმირულ გამარჯვებასაც მიაღწიეს. მოგება მოგებად, მა-

რინა და მხოლოდ ამის შემდეგ დავიბურთო მათ სალელი მოედანში, მაგრამ ბაბუნაშვილი შეუვალად აღმოჩნდა და გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ვერ გეტყვით, ვინ იყო იმ მომენტში მტყუნ-მართალი, რადგან ეს ყველაფერი ტრიბუნებიდან საკმაოდ მოშორებით მოხდა. მასპინძლები მსაჯთან კამათში რომ ვერას გახლდნენ, დაწყნარდნენ და უსამართლო კარის გასწვრივ ჩამწყვიდნენ. კობახიძე გარდასახვის შესასრულებლად მოემზადა. უცებ არმიელთა რიგიდან ურჯუაშვილი გამომავდა და ცნობილ ფრანგ ფეხბურთელ კანტონას ცნობილი ინციდენტის დრად მატჩის მთავარ მსაჯს გუგა ბაბუნაშვილს ცხვირი-პირში წიხლი ჩაახლია. ამ უსამართლო ინციდენტს „გმირი“ მოედნიდან გააძევეს, მაგრამ მაშინვე საეჭვოა, ეროვნული ნაკრების მომზადების გაცილებით მეტად სასჯელს გადაურჩეს.

საქართველოს რაგბის კავშირის წესდებით, მსაჯის ხელყოფისთვის მორაგბე სამუდამო დისკვალიფიკაციით ისჯება, რისი პრეცედენტიც, და სამწუხაროდ არა ერთი, არსებობს. ბაბუნაშვილის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან წამოდგომა და მატჩის ბოლომდე გაძლოა შეძლო. კაცნაკლები არმიელნი თითქოს მარცხისთვის განწირულნი აღმოჩნდნენ, მაგრამ მათ სასახლოდ, არ გატყდნენ და წლეულადელი გათამაშების პირველი სენსაციაც გამოაცხვეს. პირველ ტაიმში მასპინძლებს ლელოს გატანის რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ უჩაძემ ყველასთვის გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც მოწინააღმდეგის ჩათვლის ხაზთან ახლოს ეულად მდგომმა ბურთი უკან თანაგუნდელს მიაწოდა, იქ კი „ყოჩების“ დაცვამ ივარცა და სიტუაცია განიმუხტა.

რამდენიმე წუთში უჩაძის შეცდომის გამოსწობის შესაძლებლობა მიეცა, მანაც ორჯერ უსუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმებით ანგარიშში სხვაობა შეამცირა, ტაიმის მიწურულს არმიელებმა მცირე შტურმი მოაწყვეს სტუმართა კართან, თითქოს ლელოც გაიტანეს, მაგრამ... ამ ეპიზოდს მეტოქეთა შორის მცირე შეხლა-შემოხლა მოჰყვა, თუმც ვნებათა-

ლევა მალევე დაცხრა. მატჩის მეორე ნახევარი რიგიანად არც კი დაწყებულყო, რომ აბრამიშვილმა არეკით, ხოლო აბუსეროვიმ ლელოთი დააწინაურეს არმიელები. ყველას ეგონა, მასპინძელთა უპირატესობა მხოლოდ შემთხვევითობა იყო და „ყოჩები“ იტყოდნენ თავიანთ სიტყვას. მათი ვარაუდი კობახიძის ხუსტად შესრულებულმა საჯარიმო დარტყმამ და ხელაძის ლელომაც განამტკიცა, მაგრამ მთავარი მოვლენები ტაიმის მეორე ნახევარში დატრიალდა. რიცხობრივ უმცირესობაში მოყოფა არმიელებმა შესაშური სიმტკიცე და მებრძოლი სული გამოავლინეს. ჯერ სუჯაშვილმა მეტოქის მცველებთან ჭიდილით ლელო გაიტანა, შემდეგ აბრამიშვილმა იგივე მოიმიტქმედა. ანგარიშში სხვაობა მხოლოდ შეიძი ქულა იყო, რაც გამარჯვების გარანტიას არ იძლეოდა. მატჩის ძირითადი დრო ამოიწურა, როდესაც ყოჩები მასინებულ შეტევაზე გადაიდნენ. მათი იერიში ხუთ წუთს გაგრძელდა. მასპინძლები თავს მედვარდ იცავდნენ, საბოლოოდ კი საჯარიმო დარტყმის უფლებაც მოიპოვეს. მართალია, უჩაძემ ვერ ივარცა, მაგრამ აქვე საფინალო სასტენიცი გაისმა და პირველი სენსაციაც დაფიქსირდა.

მატჩი არმიელთა სენსაციური გამარჯვებით კი დასრულდა, მაგრამ ყველას, გულშემატკივარს თუ რაგბის სპეციალისტს, ერთი რამ ეკერა პირზე, ნეტავ რა ელის ურჯუაშვილს?

**ბაჩო სვანიძე**

**ბათუმი**  
2 სექტემბერი


**საქართველოს საფეხბურთო ფედერაცია**  
საქ. ქვეთარაძე, ბალანჩივაძე, სუჯაშვილი, მათიაშვილი, ტყეშელაშვილი, ცხადაძე (მაისურაძე), უჩაძე, აბუსეროვი, აბრამიშვილი, ბინუკოვი, კაპანაძე, ურჯუაშვილი, ზაქარაიძე, კინაძე

**სატურნირო 300თარაბა**

	თ	მ	წ	ბ	პ	ქ
დათეები	9	7	0	2	163-105	4 32
ლოკომოტივი	1	7	0	0	155-71	2 30
ყოჩები	8	4	0	4	156-161	1 17
ასკ	9	3	0	6	137-161	0 11
უნივერსიტეტი	9	0	0	9	110-121	0 0

პ — პრემიალური ქულა  
ასკ — დაკლებული აქვს ერთი ქულა

# სოფლის კარი გაიღო



ოლიმპიური თამაშების სული რომ შეიგრძნოთ, ოლიმპიურ სოფელში მოხვედრას საჭირო. მისი კარი კი ოფიციალურად 2 სექტემბერს გაიღო.

იგი ავსტრალიის უხუცესმა ოლიმპიელმა, 1928 წლის ამსტერდამის ოლიმპიადის მონაწილემ ედი პეინმა გახსნა.

— დიდი სიამოვნება იყო ჩემთვის სიდნეის ოლიმპიური სოფლის კარის გაღება. იქ ყველა ათლეტს შეუძლია პარმონიულად იცხოვროს და ნებისმიერი სურვილიც დაიკმაყოფილოს — თქვა ედი პეინმა.

საინტერესოა, რომ ეს უხუცესი ოზი ოლიმპიელი, რომელიც ამ დღეებში 94 წლის გახდება, პირველი ავსტრალიელი ქალი მძლეოსანია, რომელიც ამსტერდამის ოლიმპიადზე 100 და 800-მეტრიან დისტანციებზე გამოვიდა, იქ კი, მოგეხსენებათ, ქალი მძლეოსნების დებიუტი შედგა.

პეინმა, რომელიც ოლიმპიური სოფლის ლენტის გაჭრის შემდეგ ცრემლად იღვრებოდა, ჟურნალისტებთან საუბრისას გაიხსენა, თუ რამდენად შეიცვალა ოლიმპიური თამაშები მას შემდეგ, რაც ამსტერდამის ოლიმპიადზე პოლანდიაში გემით ჩასვლას ექვსი კვირა მოანდომა, შემდეგ კი სარბიელიდან 60 კილომეტრის მოშორებით ცხოვრობდა.

— ეს ნამდვილად შორს იყო. როდესაც სავარჯიშო სარბიელს მივალწევდით, უკვე უკან გამობრუნების დრო ხდებოდა. მართლაც, ახლა ყველაფერი შეცვლილია — გაიხსენა პეინმა.

პეინის დროინდელი ოლიმპიადიდან მართლაც ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ დაიხვეწა, გაუმჯობესდა. კომუნიკაციათა და სატრანსპორტო საშუალებათა განვითარებამ მსოფლიო ერთ დიდ სოფლად აქცია. რაღა საკვირველია, რომ სიდნეის ოლიმპიური სოფლიდან 15 სპორტულ ბაზამდე რამდენიმე წუთის სავალია, ხოლო 40 წუთია საჭირო, რომ ყველა, 28 სარბიელი ნახოთ.

ოლიმპიურ სოფელში პირველი ახალმოსახლენიც გამოჩნდნენ. ოლიმპიადის ორგანიზატორთა თქმით, ოლიმპიური ჭიშკრის ზღურბლზე პირველებს ფინელებს გადაუბრუნებიათ, ცოტა ხანში კი კუბელებიც მიყვნიან.

როგორც ორგანიზატორები ამბობენ, სოფელში 199 ქვეყნის 10 ათასი სპორტსმენის გარდა 5 ათასი ოფიციალური პირი დაინახვდება, რომლებიც პირველად ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ცალ-ცალკე იცხოვრებენ 800 სახლსა და 300 ბინაში. ამას გარდა, სპორტის ისეთი სახეობის წარმომადგენლები, როგორებიცაა აფროსინები არიან, განცალკევებით დაბინავდებიან. თუმცა მათ გვერდით არ იქნებიან ის მილიონერი სპორტსმენები, რომლებსაც დამოუკიდებლად გადაუწყვეტიათ დაბინავება. ასეთები, ალბათ, უპირველესად „დრიმ თიმის“ კალათბურთელები იქნებიან, რომლებმაც არც ატლანტის ოლიმპიადზე იკადრეს სოფელში მსოფლიოს ოლიმპიურ ოჯახთან თანაცხოვრება.

— არადა, სოკ-ს მიანჩნა, რომ ათლეტთა სოფელი საუცხოოა — თქვა სოკ-ის ეოკ-ებთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა, ოლიმპიური სოლიდარობის დირექტორმა პერე მირომ. ორგანიზატორებისვე თქმით, როდესაც ოლიმპიური სოფელი პირთამდე შეივსება, იგი ახალი სამხრეთ უელსის მეხუთე დიდ ქალაქად იქცევა. მის ბინადართ მოქმედებებზე 9 ათასი მზარეული, დამლაგებელი, გართობის მომსახურების სფეროს წარმომადგენელი.

## გიზა გურასაფხილი



ოლიმპიური სოფლის გახსნის პატივი უხუცეს ავსტრალიელ ოლიმპიელს ედი პეინს არგუნიეს

# გადაარჩა, გადაარჩა! კალამი ხელი ხმაღს იკრა



ბრუნო ტიბუ უმძიმესი ავარიის შემდეგ



დღევანდელ ველობოლბებს თეატრალურ-კარნავალური ენთუზიუზი უნდა ახლავს აბრაამ ოლანოს პოდიუმზე შუბოსონბაც მოუხდა

პარასკევს „ვეულტას“ მეშვიდე ეტაპი იყო — ვალენსიადან მორელამდე, რომელიც ესპანელი მთიელის, რობერტო ერასის გამარჯვებით დასრულდა. შევიცარმელმა ალექს ცულემ მასთან მხოლოდ სამი წამი დაიძო და საერთო ჩათვლაში ლიდერობა შეინარჩუნა.

წლებადეულ „ტურ დე ფრანსზე“ მეხუთე ადგილზე გასულმა ერასმა მცირედით მასწრო ფრანგ პატრის ალგანს მოკლე, მაგრამ საკმაოდ ციკაბო მთის ბოლოს.

დაახლოებით შუაგულ აღმართზე ვერე ყაზანმა ალექსანდრ ვინოკუროვმა სცადა შეტევის განხორციელება, მერე კი ესპანელმა რობერტო ლაისეკამ. მათ რამდენიმე მეტრიტაც ჩამოიტოვეს დანარჩენები და ეგებ პირველობაც ირწმუნეს, მაგრამ... საბოლოოდ ვინოკუროვმა 55 წამი წააგო ერასთან, ლაისეკამ კი — 14.

თავად „კელმეს“ მთიელი კი წინა პლანზე მაშინ გამოჩნდა, როცა ფინიშამდე დაახლოებით 500 მეტრი დარჩა. სწორედ ამ დროს წამოიწყო ერასმა იერიში და მართალია, ფავორიტებს სამ წამზე მეტი ვერ აართვა, მაგრამ ბლომდ პრემიალური წამები მოხვეჭა და საერთო ჩათვლაში ცულეს 1 წუთსა და 23 წამამდე მიუახლოვდა.

„ფსიქოლოგიურად ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს, ხმლებიც ალესილი გვაქვს“ — თქვა „კელმეს“ სპორტულმა დირექტორმა ვისენტე ველამდ, რომელმაც ალბათ ის იგულისხმა, რომ მისი გუნდი საერთო ჩათვლაში პირველობისთვის საბრძოლველად მზადაა. ისე, ხმლების არ ვიცი და, ორი დღის შემდეგ ინდივიდუალურ რბოლაში (ამაზე ცოტა ქვემოთ) გამარჯვებულმა აბრაამ ოლანომ პოდიუმზე შუბი კი აატრიალა.

პარასკევს „კელმეს“ წევრები ძალიან გამოირჩნენ. კოლუმბიელი სანტიაგო ბოტერო დღის მთავარი გაქცევის მონაწილე იყო. მას კომპანიონობას იტალიელები — მირკო მარინი, ჯანი ფარინინი და ფრანგი სორილ დესელი უწევდნენ. უპირატესობამ ერთი ხანობა ლამის ხუთ წუთსაც მიადგინა, მაგრამ 150-ე კილომეტრზე კვარტეტს პელოტონი მარცხ დაეწია. პორტ ლე კეროლის მთის იოლად დაძლევის შემდეგ, რომელსაც რატომღაც მორე კატეგორიის სიმძლავრე მოიხსენიებენ, ესპანელმა კარლოს სასტრამ სცადა ბედი, მაგრამ კელმეელთა აქტიურობის წყალობით მალე დაეწივნენ. მერე კი ერასმა იგაჟაყა.

ეტაპი იმითაც იყო საინტერესო, რომ „ვეულტაზე“ უკვე ჩვეულებად ქვეულ წაქცევებს კინაღამ უბედური შემთხვევა მოჰყვა. „ფან დელატურის“ წევრი ბრუნო ტიბუ პელოტონის ჩამორჩა და მის დასაწევად სიჩქარეს უმატა. მალე იგი „პოლტის“ მანქანის უკან დაჯდა, ასე უფრო იოლად დაეწივნენ, ალბათ, იფიქრა. თუმცა აქედან რა ხეირი... ცოტა ხანში პელოტონის ბოლოში ვიდაცას საბურავი გაუსკდა და რამდენიმე კაცი წაიქცა, „პოლტის“ მანქანა ამ დროს სწორედ მათ უკან იყო და ვინმე რომ არ

გაუტანა, მისიერად დაამხურეჭა. იფივე ვერ შეძლო ტიბუმ, მანქანას უკნიდან დაეჯახა, ველოსიპედიდან გადმოფრინდა და მანქანის უკანა შუბა თავით გაიტანა. შედეგად გატეხილი ცხვირი, უამრავი ჭრილობა სახეზე და ჩამსხვრეული კბილები ტიბუ მისვე ქალაქ კასტელონის საავადმყოფოში გაატანეს და თავისთავად „ვეულტასაც“ დააკლდა.

დანაკლისი მომდევნო დღეს გენასათ: ესპანელები — ოსკარ ფრერი (მაბეი) და ხოსე-მარია ხიმენესი (ბანესტო), იტალიელი ივან გოტი (პოლტი) და ვენესუელელი უნაი ჩებერია (ესკალტელი). თითოეულზე ცალ-ცალკე გეტყვი.

მსოფლიოს ჩემპიონ ფრერის, რომელსაც ორი ეტაპის მოგება უკვე მოუწია, ოფიციალური ვერსიით შურგი წამოსტკევიდა, თუმცა კულუარული ცნობებით, მას „ვეულტას“ მიტოვება რთული, მთიანი ეტაპების წინ თავიდანვე გადაეწყვიტა, რათა მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებს უკეთეს მდგომარეობაში შესვედროდა.

ხოსე-მარია ხიმენესი „ვეულტას“ დაწვებამდე ცოტა ხნით ადრე დაეცა და მცირე ტრავმა მიიღო. იმედი ჰქონდა, შეჯიბრისას ფორმას აღვიდგენ და იქნებ ერთი ეტაპი მაინც მოვიგო, მაგრამ ასე არ მოხდა. მეხუთე ეტაპი კი დამთავრდა ხიმენესის გამარჯვებით, მაგრამ თავი ხოსე-მარიას თანაგუნდელმა და მოგვარე ულადიმო გამოიჩინა. ცულ ფორმაში მყოფმა ხოსე-მარიამ კი საერთოდ შეწყვიტა ასპარეზობა.

„ჯიროს“ ორგზის გამარჯვებულ (1997 და 1999 წლებში) ივან გოტის შემდეგებუ ველო ნამდვილად არ დასწყვიტა და მადრიდამდეც გაძივდა, მაგრამ გრიპი შეეყარა, ორი დღე სიცხიანმა იბროლა და მეტი ველო ველო ველო უნაი ჩებერია კი მორიგი ჯგუფური წაქცევის მსხვერპლი გახდა. მან ერთი ნეკნი და მარჯვენა მკლავი მოიტეხა და დიდი ხნით მოუწევს უქმობა.

შაბათის ეტაპი კი იტალიელმა ალესანდრო პეტაჩიმ მოიგო, რომელმაც ჯგუფური სპრინტში თანამემამულეებს, ბიაჯიო კონტესა და ჯოვანი ლომბარდის აჯობა. ეს უკანასკნელი თითქმის ყველა სპრინტერულ ეტაპზე საუკეთესოთა სამეულშია, მაგრამ პოდიუმზე ასვლას ვერასდიდებით ახერხებს. ახლაც მესამე იყო, თუმცა ცოტა ხანში ერთი საფეხურიით მაღლა აიწია, რადგან სპრინტისას პოლანდიელი იან კოერტისისთვის ხელის შეშლის გამო კონტესს დისკვალიფიკაცია მისცეს და ეტაპის ჩათვლაში იმ ჯგუფის ბოლოში გადაისროლეს, რომლის შემადგენლობაშიც უწია ფინიშს.

ფინალურ სპრინტამდე ექვსმა მრბოლმა — კოლუმბიელმა ვიქტორ პიუგო პეინამ, ჩეხმა იან სვორადამ, ფრანგმა კრისტოფ ბასონმა, ამერიკელმა გვილო ტრენტიმ, იტალიელებმა, სტეფანო კასაგრანდემ და მარკო მარინიმ — სცადა პელოტონის მშრალზე დატოვება. ექვსეულმა ხუთწუთიან უპირატესობას მიადგინა, მაგრამ მანც დაენება. ერთი პირობა პეინამ მარტომაც

სცადა გაქცევა, მაგრამ კოერტისის გუნდმა „ფარმ ფრაიტსმა“ პელოტონს სიჩქარე გააზრდევინა, რათა თავისი სპრინტერებისთვის გამარჯვების შანსი მიეცა. თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ერთნი მუშაობენ, მეორენი კი ჭამენ. პოდა, კოერტისს კონტემ შეუშალა ხელი, რითაც პეტაჩიმ იხვირა, რომელმაც მესამე ეტაპის სპრინტი სწორედ კოერტისთან წააგო.

კვირას ინდივიდუალური რბოლა გამართა. „თუ კარგ ფორმაში ვიქნები, მოგებასაც შევძლებ და მეტოქეების ჩამოტოვებასაც, თუ ცულ ფეხზე ავდგე, იქნებ თავად ჩამოვრჩე საგრძნობლად. ოლანოსაც და ულრისსაც მოგების კარგი შანსი აქვთ“ — თქვა იმ დროს ვერე კიდევ ოქროსფერი მაისურის მფლობელმა ალექს ცულემ.

ყველაფერი ისე აგისრულდით, როგორც მისი სიტყვები ახლა. ცულ ფეხზე ამდგარ ცულეს ოლანომ ეტაპიც მოუგო და საერთო ჩათვლაშიც გაუსწრო, ხოლო ულრისის საბურავი რომ არ გასკომოდა...

ცულემ ოლანოსთან 2 წუთი და 4 წამი წააგო. არადა, ტურნირის პირველი ინდივიდუალური რბოლა მალაგაში სწორედ მან მოიგო და ახლა ამხელა სხვაობით თუ ჩამორჩებოდა ბასკს, მწელი წარმოსადგენი იყო (ცულ ფეხზე ადგომის გათვალისწინებითაც).

## გაიოზ თალაგამაძე

მეშვიდე ეტაპი	
ვალენსია — მორელა, 175,4 კმ	
1. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — 3:58:58	20:58
2. პატრის ალგან (ფრანცია, ფან დელატური) — +2:58	
3. იან ულრისი (გერმანია, ტელეკომი) — +3	
4. ოსკარ ფრერი (ესპანეთი, მაბეი) — +3	
5. ლორან დიუფო (შვეიცარია, საეო) — +3	
მეორე ეტაპი	
ენარაისი — პორტ ავენტურა, 168,5 კმ	
1. ალესანდრო პეტაჩი (იტალია, ფასა ბორტოლი) — 3:58:58	10:58
2. ვილანი ლომბარდი (იტალია, ტელეკომი) — +3	
3. ფრედო ლეონი (იტალია, ალესი) — +3	
4. მარტინ გარიდო (არგენტინა, ფერნანდო) — +3	
5. ფედერიკო კოლანი (იტალია, კანტინა ტოლო) — ყველას იგივე დრო	
მესამე ეტაპი	
ბარსელონა, ინდივიდუალური რბოლა, 37,6 კმ	
1. აბრაამ ოლანი (ესპანეთი, ონსე) — 4:58:02	02:58
2. სანტოს გონსალესი (ესპანეთი, ონსე) — +3	
3. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინი) — +5	
4. იან პრუსკა (ჩეხეთი, ვიტალიცი) — +43	
5. ვიქტორ პიუგო პეინა (კოლუმბია, ვიტალიცი) — +55	
სამეოთხე რბოლა	
1. აბრაამ ოლანი — 2:58:02	05:58
2. ანხელ კასერო — +21	
3. ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) — +55	
4. იან ულრისი — +1:05:05	
5. სანტოს გონსალესი — +1:05:40	

# იპრობალები და იპრობანები

## მარიონ ჯონსი ოროს პილოგრამით კი არა, მედლებით ითვლის

**პარასკეპ** საღამოს ბერლინში 40 ათასი მაყურებლისა და ცივი, მშრალი, ქარიანი ამინდის თანხლებით წლებანდელი „ოქროს ლიგა“ დასრულდა. ბოლო ეტაპის ინტრიგა ზორბა იყო: ერთს ლიგის ჯეკპოტში (50 კილო ოქრო) წილი უკვე დაედო, რიგში კი ერთბაშად ოთხი მძლეოსანი იდგა. საჯეკპოტო წესის შემსუბუქებამ ანუ ჯეკპოტის მოსაპოვებლად უწინდელი შეიღვეს ნაცვლად ხუთი ეტაპის მოგების დაწესებამ პრეტენდენტთა ოდენობა დიდად გაზარდა. გვილ დივერსი, ამერიკელი თარჯმობრენალი ბერლინში არ გამოსულა, რადგან, ერთი რომ, 10 კილო ოქრო უკვე თავისად ეგულუბოდა და მეორეც, ბარბაყს იტკივდა, ზედ ოლიმპიადის წინ კი რისკზე წასვლა არ ეგების. ირბინა მორის გრინმა და მერე როგორ! ასი მეტრი 9,86 წამში ჩაატარა, ეს კი სეზონის რეკორდია. ამასწინათ ბრიტანულ გეიტსპედში გრინის მცირე ჩავარდნის გამო აფუსფუსებული სკეპტიკოსებიც დადუმდნენ. მეორე ადგილი გამარჯვებულის ვარჯიშის ამხანაგის, ჯონ დრამონდისა იყო. ხსენებული დისტანცია სულ რჩეულმა ხალხმა გაირბინა და ამიტომ მათი გვარები ადგილების მიხედვით უნდა ჩამოეთვალათ. მაშ ასე, დრამონდის კვალად ფინიშს უწიეს: ამერიკელმა ტიმ მონტგომერმა, ბერნარდ უილიამსმა და ბრაიან ლუისმა (100 მეტრი პარასკეპს აბსოლუტურად იანკებისა იყო); მე-9 ადგილი კანადელმა ვეტერანმა დონოვან ბეილიმ დაიკავა, მომდევნო ნიგერიელთა სპრინტის იმედი, ფრენსის ობიკველუ გახლდათ, სულ ბოლო კი, პიი, განგებავ, თავად ატო ბოლონი. ოლიმპიადამდე ათიოდე დღით ადრე.

ქალთა ანალოგიურ დისტანციაზე ყველაფერი წესისამებრ მოხდა: მარიონ ჯონსმა 10,78 წამი დახარჯა, თავისივე სეზონის რეკორდი გაიმეორა და ცხოვრებაში 32-ე 11 წამს ჩამოსცდა. მეორე ადგილზე გასული ბაჰამელი სავათეა ფანსის შედეგი 11,03 წამი იყო. კომენტარს მხოლოდ ის ფაქტი საჭიროებს, რომ გამარჯვების მიუხედავად ჯონსი გრინივით ჯეკპოტის წილში ვერ ჩაჯდა, წლებულს „ოქროს ლიგას“

იგი ცოტა გულგრილად მოეპყრო და საკმარისი ოდენობით ეტაპებზე არ გამოვიდა. მისი აზროვნება ახლა ოლიმპიადის კონცენტრირებული, სადაც აქამდე არგავინდის გაკეთებას აპირებს — ხუთი ოქროს მედალი უნდა. „თავს დიდებულად ვგრძნობ — უთხრა ჯონსმა მასმედიას ბერლინში — ხვალ შინ მივდივარ და იქიდან სიდნეიში გავფრინდები. ოლიმპიადის ლოდინისგან მაკრიალებს.“

უფრო კარგად იყო გრინი, მან გამარჯვების სიხარული ათასგვარი კუნტრუშითა და ფესტებით გამოხატა, რისი მიზეზი ნაწილობრივ ოქროს ზოდებიც იქნებოდა, მის სიმდიდრეს რომ შეემატა. მერე ირბინა პიშამ ელ გურუჯმა, 1500 მეტრი ჩვეულებისამებრ პირველმა გალია და ესეც კიდევ ერთი ოქროს კაცი. მაროკოელმა ოლიმპიადამ რომ ვერ მოიგოს, უდიდესი სენსაცია იქნება, მან აქამდე სეზონის ყველა გარბენში გაიმარჯვა.

ორი ქალბატონი: ნორვეგიელი ტრინე ჰატესტადი და რუსი ტატიანა კოტოვა „ოქროს ლიგის“ ლაურეატთა სიას აბოლოებენ. სხვათაგან განსხვავებით, მათი გამარჯვება არც ისე გარანტირებული ჩანდა, კოტოვასი მინც ერთ ამბავში იყო ჰაიკი დრეკლერი, შინაური კვლევის ხათრით გვარიანად იხტუნა და კოტოვამ მას ერთადერთი სანტიმეტრით გაუსწრო. ათი კილოს ამბავიც ამ სანტიმეტრმა გადაწყვიტა. მარიონ ჯონსი არ გადამხტარა, თუმცა სიდნეიში სივრცეზე სტომაშიც ოქრო უნდა, დანარჩენმა ძლიერებმა კი სუსტად იასპარეზეს: ბულგარელ ივა პრანჯევა მესამე იყო, შვედი ერიკა იოპანსონი — მომდევნო.

ჰატესტადს ყველაზე მეტად ტატიანა შიკოლენკო აფიქრებდა, ლიგის ორი ეტაპი მას რუსმა მოუგო, მაგრამ ამჯერაზე შიკოლენკომ ვერ ივარგა, მეოთხე ადგილი დაიკავა და სხვათა ჩამოტოვება ჰატესტადს არ გასჭირვებია. აი, რეზიუმეც: 480 ათასი დოლარის 50 კილო ოქრო ხუთმა მძლეოსანმა განაწილა, ტრინე ჰატესტადმა, გვილ დივერსმა, ტატიანა კოტოვამ, მორის გრინმა და პიშამ ელ გურუჯმა, „ოქროს ლიგას“ კი მომავალ წლამდე ხელი დაუქუნიოთ.

**ქალბები**

100მ. 1. მარიონ ჯონსი (აშშ) — 10,78; 2. სავათეა ფანსი (ბაჰამის კუნძულები) — 11,03; 3. ტანია ლოურენსი (იამაიკა) — 11,07;

100 მ. თარჯმობრენი. 1. გლორი ელიოზი (ნიგერია) — 12,66; 2. მელისა მორისონი (აშშ) — 12,67; 3. ოლგა შიშიგინა (ყაზახეთი) — 12,74.

5000 მ. 1. ლეა მადლიტი (კენია) — 14:39,83; 2. გაბრიელა საბო (რუმინეთი) — 14:40,63; 3. ტეგლა ლორუბე (კენია) — 14:46,70.

1500 მ. 1. ვიოლეტა ბეკლეა-ზეკელი (რუმინეთი) — 4:02,80; 2. ლიდია ჩოფეცა (პოლონეთი) — 4:03,94; 3. კრისტინა და ფონსეკა (გერმანია) — 4:05,13.

შუბის ტყორცნი. 1. ტრინე ჰატესტადი (ნორვეგია) — 68,32; 2. ოსლეიდის მენენდეი (კუბა) — 67,83; 3. ტანია დამასკე (გერმანია) — 65,13.

სიგრძეზე სტომა. 1. ტატიანა კოტოვა (რუსეთი) — 6,96; 2. პაიკე დრეკლერი (გერმანია) — 6,95; 3. ივა პრანჯევა (ბულგარეთი) — 6,87.

**კაცები**

100 მ. 1. მორის გრინი (აშშ) — 9,86; 2. ჯონ დრამონდი (აშშ) — 9,96; 3. ტიმ მონტგომერი (აშშ) — 10,01.

ბადროს ტყორცნი. 1. ლარს რიდეილი (გერმანია) — 69,72; 2. ვორგილიუს ალენკა (ლიტვა) — 69,70; 3. ფრანკ ვრუგერი (რუსეთი) — 67,32.

სამსაბო. 1. ჩარლზ ფრიდეცი (გერმანია) — 17,20; 2. იოელბი კესადა (კუბა) — 16,56; 3. კეტლ მანსფიტი (ნორვეგია) — 16,47.

110 მ. თარჯმობრენი. 1. ტრინე ჰატესტადი (აშშ) — 13,28; 2. დომინიკ არნოლდსი (აშშ) — 13,33; 3. ფლორიან შვარტცი (გერმანია) — 13,40.

400 მ. თარჯმობრენი. 1. ანჯელო ტილიერი (აშშ) — 48,26; 2. სამუელ მატეტე (ზამბია) — 48,38; 3. პაველ იანუშევიცი (პოლონეთი) — 48,49.

1500 მ. 1. მარიონ ჯონსი (აშშ) — 45,00; 2. მარკ რიჩარდსონი (დიდი ბრიტანეთი) — 45,46; 3. ანტონიო პეტტიგრიუ (აშშ) — 45,61.

3000 მ. 1. ალი საიდ სიფი (ალჟირი) — 7:30,76; 2. ბრაჰიმ ლალაფი (მაროკო) — 7:31,98; 3. დანიელ კომენი (კენია) — 7:35,80.

სიმაღლეზე სტომა. 1. მარკ ბოსველი (კანადა) — 2,32; 2. აბდურაჰმან მამადი (ალჟირი) — 2,29; 3. სერგეი გროვინი (რუსეთი) — 2,29.

ქოკით სტომა. 1. ჯეფ პარტიცი (აშშ) — 5,74; 2. დენი ევერი (გერმანია) — 5,74; 3. ტიმ ჰარვი (აშშ) — 5,61.

4X100 ესტაფეტა. 1. აშშ — 37,65; 2. აშშ — 38,13; 3. შერეული ნაკრები — 38,68.



მაიკლ ჯონსონი

# დაისვენა კასპა

მაიკლ ჯონსონმა ბერლინში „ოქროს ლიგის“ ეტაპი მოიგო და მეორე დღევე სამხრეთისკენ გაუტია — იტალიურ რეიტინში ბოლო საოლიმპიადე რეპეტიცია უნდა გაეკეთა. რეიტინში საკურორტე გარემო იყო შექმნილი, ამინდი ჩინებული, სამძლეოსნო სარბიელის ტრიბუნებზე ხუთიოდე ათასი კაცი განუწყვეტილი მიმოდიოდა, ჭამდა, სვამდა, იცინოდა და თავად ტრიბუნებიც სტადიონის მხოლოდ აქეთ-იქიდან აკრავდა, დანარჩენ ადგილებში კი ბუნება მეფობდა ლამის ზედ სარბენ ბილიკებზე ამოსული ხეებით. მოკლე, რეიტინში კაცი დაისვენებდა და ჯონსონსაც დაისვენა — 400 მეტრზე სირბილისას რა შეატყო, ჩემი გამსწრები არავინააო, ფინიშიდან კარგა მოშორებულზე შეანელა სირბილი და ხაზზე გადასვლისთანავე შეერდა. არავითარი ქოშინი და გაკლა-გამოკლა, ჯონსონი ისე წყნარი ჩანდა, თითქოს იმ კვირა დილას მხოლოდ ესეირნოს, კამერას თვალი ჩაუკრა და რამდენიმე სიტყვა მასმედიას აჩუქა. „მსოფლიოს რეკორდი ახლა არ მაინტერესებს — რეიტინში ჯონსონმა ადრე ნათქვამი გაიმეორა. ჟურნალისტები აწუხებდნენ, ვერბინა ბოლომდე წესიერად, იქნებ რეკორდი მოგეხსნათ — იგი ისედაც ჩემია და გასაუმჯობესებლად რატომ ვიწვავო? სიდნეიშიც მთავარ მიზნად ოქროს მედალი დავისახე და არა რეკორდი.“

აღწერილ გარბენამდე 100 და 200 მეტრზე მოსპრინტერეებმა სინჯეს ძალები და პირველზე საინტერესო არაფერი მომხდარა: ამერიკელები ბრაიან ლუისი და დენის მიჩელი განელმა აბლულ აზიზ ზაკარამ დაჩაგრა. ორჯერ გრძელი დისტანცია იმით იყო ყურადსაღები, რომ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ სარბენ ბილიკს ნამიბიელი ფრენკი ფრედერიკი დაუბრუნდა, ვის ქაღალსაც, ვერ ვერ ჩამომწერიო, შაბათის „სარბიელში“ წაიკითხავდი. ჯერჯერობით ფრედერიკსმა სიტყვას საქმე არცთუ ხუთიანზე მოაყოლა, მხოლოდ მეოთხე მიიჭრა ფინიშთან, პირველობა კი სრულიად გამოკვეთილად ნიგერიელ ფრენსის ობიკველუს ერგო.

1500-მეტრი აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ. რეიტინში პიშამ ელ გურუჯი არ ჩასულა და მისმა მთავარმა კონკურენტმა, კენიელმა ნოა ნგენიმ ამით უკოყმანოდ ისარგებლა. მან თვისტომ ბენჯამინ კამპურუისა და ალჟირელ ქამელ ბულაფანეს გაუსწრო.

მასპინძლებს რაღა? თითქმის არაფერი, ბირთვის კვრასა და 800 მეტრში ორ პირველ ადგილს თუ არ ჩავთვლით. ანდრეა ლონგოს, რომელმაც ნახსენები დისტანცია წუთში, 43 მილსა და 74 მეასედ წამში გაირბინა, იტალიის თანარეკორდსმენობა მიანიჭეს. მსგავსი შედეგი მარსელო ფასკონაროს 27 წლის წინ უჩვენებია.

დავით გულუა

## სეპტემბერი

# ნება, თბილისში გვეთავაშუ

ცხადია, ახლა გვიანია იმაზე მსჯელობა, დაძლევდა თუ არა საქართველოს ჩემპიონი — „სტუ-მარტვეს“ ვაჟ ხელბურთელთა გუნდი ევროპის ფედერაციის თასის საწყის რაუნდს, სტამბოლის „ბეშქეთაშთან“ საპასუხო მატჩი თბილისში რომ ჩატარებინა.

შეგახსენებთ: ზაზა დოლიძის ბიჭებს 2 სექტემბერს მეტოქის მოედანზე, თურქეთში უნდა ეთამაშათ, ერთი კვირის თავზე კი თბილისში. მაგრამ ისე მოხდა, რომ უფულობის გამო, რაკი მეტოქე გუნდისა და მსაჯთა დასახვედრი თანხა, პლუს დარბაზის ქირა ვერ გამოინახა, თავიდანვე წამებთან ვარიანტზე, ორივე შეხვედრის სტამბოლში გამართვაზე დაყაბულდნენ.

არადა, როგორც პირველი მატჩის ანგარიშიდან ჩანს, შესაძლებელი ყოფილა ჩვენთვის სასიკეთო შედეგზე ფიქრი. შაბათის შეხვედრა მეტად დამაბული გამოდგა. ტაიმი მასპინძლებმა ორი ბურთით მოიგეს — 16:14. შესვენების შემდეგაც ცხარე ბრძოლა ყოფილა და გამარჯვებულიც ბოლო წუთებზე გამოვიინდა. „ბეშქეთაშმა“ მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა — 29:28. ჩვენებიდან ბექა ორჯონიკიძეს გამოუჩინა თავი, მის ანგარიშზე 11 გოლია.

თურქებმა მეორე მატჩი უკეთესად ჩაატარეს, თითქმის იმდენივე ბურთი გაიტანეს, „სტუ — მარტვეს“ კი მხოლოდ 16-ით უპასუხა და დიდი სხვაობით დამარცხდა — 16:26.

ყველაზე მეტი, 5 გოლი ალგო ბოჟოჩაძეს შეუვლია. რაკი ჩვენნიარ გაჭირვებულ ყოფაში სხვებიც აღმოჩნდნენ, კერძოდ, ისრაელის „მაკაბა“, ბელგური „ინიტი“, მინსკის სკა, მომდევნო ეტაპზე, ცხადია, მათი მეტოქეები — შესაბამისად „დენისი“ (თურქეთი), „ბანია ლუკა“ (ბოსნია) და „აკადემიკა“ (ლიტვა) გავიდნენ.

„სტუ — მარტვეს“ ბედს ამ დღეებში ალბათ საქართველოს მეორე გუნდი თბილისის ას-კც გაიზიარებს. იმავე პრობლემების გამო არმიელებიც ორივე შეხვედრას (9, 10 სექტემბერს) მეტოქის — პოლანდის „სიტარდის“ მოედანზე გამართავენ.

ბია ახალაძე



ბერლინში ხელი მოიპოვოეს პიშამ ელ გურუჯიმ, მორის გრინმა, ტრინე ჰატესტადმა, ტატიანა კოტოვამ და ფოტოებზეც ისინი აღიბეჭდნენ. გვილ დივერსმა ეს მანამდე მოახერხა



# ცოტაც და...

ახლოვდება სიდნეის ოლიმპიადის გახსნის დღე და რა გასაკვირია, რომ საქმეში ავსტრალიის მკვიდრი ანუ აბორიგენი მოსახლეობაც ჩაერთო. სიდნეიში გახსნილია აბორიგენთა საელჩო, რომლის თათბორითაც ათასგვარი, ვისთვის თვალსაყვირთ და ვისთვის სერიოზული ღონისძიება ტარდება. ოლიმპიური ცეცხლის დარად, აბორიგენებს თავიანთი კოცონი აუბრიალებიათ ოლიმპიურ პარკში, რაიც ოლიმპიური ცეცხლისა არ იყოს, მშვიდობას და კაცთა შორის ძმობას განასახიერებს.

ამასობაში კი სიდნეის ოლიმპიური სოფელი თანდათან ივსება სპორტსმენებით. ვარჯიში და ვართობა, აი, ჯერჯერობით მათი საქმიანობა. ვენესუელელი ძიუდოსტები დუგლას კარდოსო (მარჯვნივ) და ერმაგორას მანგლესი ჩვენში გაუფრცვლებელ ბილიარდის სახეობას, მუღს ავორავენ. თურქი შოკრეფენი, ავასი ავაგულოღლუ და ნურან სულეიმანოღლუ კი ვირტუალურ ტაბლეს შებმიან წყლის მოტოციკლით.



# გადარეული რუსები

რუსის ფანთა ისე იქცევა, თითქოს აქამდე ფეხბურთი არ ენახოს. შვეიცარია-რუსეთის შესარჩევი მატჩის ტელეკომენტარი მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გამოტანილ დიდ კერანზე უნდა ეხილათ. მაგრამ ფეხბურთისთვის ვერაფერს მოიცალა, შვეიცარიულ ტელეკომენტარულ საინტერესო მილიციასთან ჩხუბი აღმოჩნდა.



# სიცხე ტეხასში

ამ, რა სიცხე ჩამოწოლილა ტეხასის შტატში. დაღასში იქაური „კოეობები“ ფილადელფიელ „არწივებს“ ებურთავენოდნენ. ტრიბუნებზე კი ხალხი ლიტრობით წყალს ივლებდა თავზე, ისე როგორც ეს სამი წლის გოგო, ბიანკა როდრიგესი. ფეხბურთელები რაღა დღეში იქნებოდნენ?



# ვიკი ოვალზე

შემარს სპორტი უბერებელ მიკ ჯაგერს. ლონდონის „ოვალზე“ ინგლის — ვესტ ინდოეთის მეხუთე ტესტის მეოთხე დღის თამაშზე მისული ვიკი წაპყრია ახლო წარსულის კრიკეტის განთქმულ მსაჯს პაროლდ „დიკი“ ბერდს, რომელიც ფეხბურთში „ბარსლის“ გულშემატკივარია. როგორ გგონიათ, ფოტოგრაფი დაიფგვიანებდა...

**სარბიელი**  
საორტული გაზეთი  
გამოიცმვა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის საშაბათს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳონცხვერია  
დირექტორი ბიორგი ოქრომჭაღლიკა  
რედაქტორი თამაზ მიბრიაული  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ჳურაბ მიკაველია  
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორიძე  
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მირაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია: ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, ვიორგი დარჯანია, ვიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ენო ოქრობიძე;  
ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, და-

ვით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება ვიო ახვლედიანი, ვიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში ოუზა კაციტაძე ფოტორეპორტორები გურამ დოღენჯიაშვილი, ბადრი კუთლაძე სტილისტები მია აბუნიანი, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე; ტრისტან კანუაშვილი, ნინო კელელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, ვიორგი ხარატიშვილი, გურამ ხელაშვილი გამომშვები ჳურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:**  
თბილისი, ალექსანდრა ყაზაბაის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საზოგადოებრივი მისამართი: თბილისი — 79, საზოგადოებრივი ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29 ელექტრონული ᳓ოსტა sarbieli@iberiapac.ge ელექტრონული მერსია http://www.sarbieli.com.ge